645/
1985/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

2
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხუტა ბერულავა

# მილოცვა

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა ქართული საბჭოთა პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ხუტა ბერულავას. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ხალხთან, ჩვენს ეპოქასთან. „სალამი ახალ უღელტეხილს, და შთაგონებას!“ — აღმოხდა პოეტს სამოცი წლის გადასახედთან. ამ მრწამსით, ამ შთაგონებით ემსახურა პოეტი დღემდე მშობელ ხალხს, მისი ჩანგი და მარჯვენა არასოდეს ჩაღლილა. იგი გვერდში გვედგა ყველგან, ყველა უბანზე, დაწყებული დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი დღეებიდან. იმ დღეებში შეიქმნა ხუტა ბერულავას პირველი, საქვეყნოდ ცნობილი ლექსები, რომელთაგან ბევრი სიმღერად იქცა. საიუბილეო დღეებში, პოეტს პრეზიდიუმში გვერდში ესხდნენ თავისი ლექსების გმირის გრიგოლ სხულუხიას დაქვრივებული მეუღლე და ქალიშვილი — ჩვენი დღეების გმირი ვინარი სხულუხია. ხოლო ალიოშა შალამბერიძის დედამ, ღრმად მოხუცებულმა სონია შალამბერიძემ, ზუგდიდის რაიონის სოფელ ქითაწყაროდან მოლოცვა გამოუგზავნა ხუტა ბერულავას: „სამოცი წელი შეგსრულებია შვილო, ღმერთმა კარგად გამყოფოს. გისურვებ მომავალშიც ხალხის ტკივილსა და სიხარულზე გეწეროს. ბევრი რამ გაგეკეთებიოს ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ!“

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია, რედკოლეგია და მკითხველები გულწრფელად ვულოცავთ პოეტს დაბადების 60 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

## სიჩქარე

დეკემბერია თუ ხვდები აპრილს,
ღამე დგება თუ ელავს ცისკარი,
ვით სუნთქვა დროის, ჩუმი და მძაფრი
ჩრდილივით დაგდევს შენი სიჩქარე!

და გეჩვენება, თითქოს გვიანობ
თითქოს დაკარგე სინათლის წილი,
ეს მაშინ, როცა, ადამიანო,
ცოტ-ცოტა მუდამ გაკლია ძილი.

მისხლობით ზომავ გაფრენილ წამებს
მალიმალ ახელ სიზმრიან თვალებს
და გენატრება, რომ დადგეს ღამე
და გენატრება, გათენდეს მალე

გუშინდელ ჭაბუკს არ გინდობს ჟამი
და გეუბნება: ჭაღარა ხარო
რადგან სიცოცხლე არ იცდის წამით,
რადგან სიცოცხლე ქარივით ჩქარობს

გარჯაც, გალობაც, ალერსიც ქალთა.
უნდა მოასწრო ერთად ყოველი.
რომ დაგრჩეს ქვეყნად, ნეკროლოგს გარდა,
შენი პატარა სვეტიცხოველი!

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად

17.920

„ახლა საკითხი ისე დგას, რომ ჯერ კიდევ 80-იანი წლების დამლევამდე გვმართებს მივაღწიოთ ძირეულ გარდატეხას სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ზრდაში, მისი ყველა დარგის ინტენსიფიკაციაში".

კ. უ. ჩერნენკო.

# ნორიო

გაზაფხული იდგა ნორიოში. ატმის და ვაშლის ყვავილებით, აკაციის სურნელით. ახალშობილ ბალახში ალაგ-ალაგ ყაყაჩოები ლაღობდნენ.

ქარს ჰაერში მიჰქონდა ერთმანეთში არეული ყვავილის მტვერი და ფოთოლი. ხან მზის სხივზე შეაჩერებდა ცოტას, ხან ისევ ზემოთ გააქანებდა. მზე ამოდიოდა.

პირველი ავტობუსი მოსახვევში შეჩერდა. ახალგაზრდა ლამაზი ქალი ყველაზე ბოლოს ჩამოვიდა და სახე მოიჩრდილა. მათრობელა სურნელმა სუნთქვა შეუკრა, ეჯანმრთელა აქაური ჰავა, მოეწონა მაღლობზე გაშლილი დასახლების გადასახედი.

არავინ შეგებებია, არც უკითხავს ვინმე. პირდაპირ თეთრად შეღებილი ფერმისკენ წავიდა. შემხვდურებმა არც იცოდნენ, ვინ იყო ან ვისთან მიდიოდა მათთვის უცნობი სტუმარი.

შუადღემდე ათვალიერა ფერმები, მერე მიწაში ამოსვრილი ფეხსაცმელი კანტორის წინ გაიწმინდა და მეორე სართულზე ოთახის კარი შეაღო. უკვე ყველას გაეგო ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ახალი დირექტორის მერი მდივნის მოსვლის ამბავი.

დაჯდა და დაფიქრდა:

...ბავშვები ხელჩაკიდებულები იდგნენ და ხმას არ იღებდნენ. მიალერსებაზე თავები ჩაღუნეს. უღიმღამო, ნახევრად დანგრეული შენობა მათ სევდიან სახესავით იმზირებოდა — ეტყობოდა, არ ულხინდათ პატარებს, თამაშის, გართობის პირობები არ ჰქონდათ, დაძიხებითაც ვერ იძიხებდნენ.

...სასადილოში სადილი მოითხოვა, ეუგემურა და ჭამა მიატოვა, უსიამოვნოდ წამოდგა.

...ბიბლიოთეკა დაკეტილი დახვდა. არავინ ეკარებაო, — უთხრეს. ახალგაზრდებს თავშესაყარი არ ჰქონდათ, საღამოობით ფაბრიკის შესასვლელთან ისხდნენ.

— ყველაფერი გასაკეთებელია, ყველაფერი, — ფიქრი ხმამაღლა გამოუვიდა. იცოდა, რომ კიდევ უფრო დააკლდებოდა მისი ხელი ქმარსა და ორ ვაჟიშვილს, რომლებსაც დამოუკიდებელი ცხოვრების ჩვევები უკვე აეთვისებიათ. ის კი არადა, თვითონ მიხედავდნენ ღამით გვიან დაბრუნებულ დედას...

მთავარი, რითაც ხვალინდელი დღე უნდა დაეწყო, — მერის უკვე გარკვეული ჰქონდა: ეს იყო ბრძოლა ქურდობის წინააღმდეგ.

ზოგიერთნი ხელცივები იყვნენ, რასაც მოახელთებდნენ, აუცილებლად სახლში უნდა წაეღოთ. და აი, ერთხელ, საღამოხანს მერი მდივანი ფაბრიკიდან გამოვიდა და თქვა; ხვალ დილით ადრე მოვალო, ასიოდე მეტრი გაიარა და ისევ უკან მობრუნდა, მუშებს პირისპირ შეეჩეხა და გასატანად გადამალული კვერცხი აღმოუჩინა.

ასე მოიქცა რამდენჯერმე. ერთხელაც, სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, ქალებმა დირექტორის დანახვისას კვერცხი არხში ჩაყარეს.

დირექტორს მილიციისთვის არ მიუმართავს. მხოლოდ უსაყვედურებდა მათ, წაღებულს უკან აბრუნებინებდა. თვის ბოლოს პრემიები დაარიგა, რაც ძალიან გაუკვირდათ ნორიოელებს, მერე ხელფასები გაზარდა...

ფაბრიკაში დოვლათი დატრიალდა. მისვლიდან ერთი წლის შემდეგ მერი მდივანმა პირველი სიხარული განიცადა — წელიწადი 47,5 ათასი მანეთის მოგებით დამთავრდა. მეორე წელს მოგებამ 405,700 მანეთს მიაღწია. ერთმა ქათამმა კი საშუალოდ 174 კვერცხი დადო, ბევრად მეტი, ვიდრე წინა წლებში. ამიტომაც 70 ათასი კვერცხმდებელი დედლიდან ერთ წელიწადში 13 მილიონ 180 ათასი კვერცხი შეგროვდა.

განმტკიცდა ეკონომიის რეჟიმი, ქათამი



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

დღეში 120 გრამ საკვებს იღებდა, რაც სავსებით ყოფნიდა. მორალურმა და ეკონომიკურმა სტიმულირებამ წარმოების წინსვლით დააინტერესა მუშა.

1977 წელს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ძველი შენობიდან ტიპობრივ, კეთილმოწყობილ შენობაში გადაიყვანეს, სადაც გათბობაც დახვდათ, ცხელი წყალიც, ახალი ავეჯიც და, რაც მთავარია, — კარგი აღმზრდელებიც.

1979 წლიდან ამ პატარებს უფასოდ კვებავენ.

1980 წლიდან ფაბრიკის მუშები კომუნალური გადასახადისგან გათავისუფლდნენ. დღეს ბინა თითქმის ყველა მუშას აქვს, მხოლოდ ზოგნი ვიწროდ ცხოვრობენ, რადგან მრავლდებიან, შვილებს ზრდიან. მათთვის ბინათმშენებლობაა გაჩაღებული. ფაბრიკის მუშები უზრუნველყოფილნი არიან პროდუქტებით, ნორიოელებს შეუძლიათ კვერცხი და ქათამი აქვე შეიძინონ ხელსაყრელ ფასად. ქალაქთან სიახლოვე აქაურ ახალგაზრდობას სწავლის საშუალებას აძლევს. დღისით მუშაობენ, საღამოს კი თბილისში მიდიან უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ ფაკულტეტებზე ლექციების მოსასმენად.

როცა სტუდენტი იყო, მერი მდივანს არცერთ საგანში ფრიადზე ნაკლები შეფასება არ მიუღია. პროფესორ-მასწავლებლები ფიქრობდნენ, რომ ზოოვეტინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მერი მეცნიერულ მუშაობას აირჩევდა. ის კი მარნეულის რაიონში გაემგზავრა, ერთ-ერთი მეურნეობის ფერმაში სამუშაოდ. შრომითი გამოცდილება სწორედ იქ მიიღო და კარგ პრაქტიკოსად მოვიდა ნორიოში. მაგრამ მუდამ ახსოვდა, რომ წარმოების ძლიერება მეცნიერების მიღწევების დაუნერგავად შეუძლებელია. ამიტომაც მოსვლის დღიდანვე დაიწყო მეცნიერულ სიახლეებზე ფიქრი.

ბიოქიმიის ინსტიტუტთან შეთანხმებულმა მუშაობამ მას აფიქრებინა ქათმები ანარჩენებისაგან დამზადებული ფხვნილით გამოეკვებათ. ეს ხომ ცილოვანი საკვების ნაკლებობას შეავსებდა! ამ ფხვნილის ეფექტიანობის გასარკვევად თვეების მანძილზე ატარებდა ცდებს ბიოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი გენადი დარასელია, რომელსაც ფაბრიკაში მუშაობის სათანადო პირობები შეუქმნეს. შედეგი ეფექტური აღმოჩნდა: ახალი საკვებით ნაკვები ფრინველები აღარ იხოცებოდნენ, შეფერილობაც კარგი ჰქონდათ და წონაშიც უფრო იმატებდნენ. ამ ექსპერიმენტს თავისი დრო დასჭირდა, და როცა საბოლოო შედეგები ნათელი შეიქნა, მერი მდივანი ინფორმაციით გამოვიდა ინსტიტუტის მეცნიერთა წინაშე.

მერი მდივანს ფაბრიკაში ყველაფერი მზად ჰქონდა, რომ ფართოდ დანერგილიყო ამ ცილოვანი ფხვნილის გამოყენებით ფრინველების მასობრივად გამოკვება, მაგრამ რატომღაც ეს მეთოდი სხვაგან დაინერგა...

ძიებისა და სიახლის დანერგვის სურვილი მერი მდივანს მაინც არ განელებია. მან ქათმის ჭირის თავიდან აცილების ეფექტურ



მერი მდივანი და ბრიგადირი ელზა თოდუა



ზოია აბაშიძე და ციცინო ცოფურაშვილი აზავებენ ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინას



მეფრინველე მაია ზვიადაური

დ. იაკობაშვილის ფოტოები

საშუალებებზე დაიწყო ფიქრი. წინათ ჭირს აცრითა და წამლის დალევით ებრძოდნენ, რაც ხელის შრომას მოითხოვდა და დიდი დრო და ძალები იხარჯებოდა, თანაც ყოველთვის ეფექტური არ იყო, მთლიანად მაინც ვერ ამარცხებდნენ ქათმის მომსპობ დაავადებას.

ზოოვეტინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა ა. კაჭახიძემ ნორიოს ფაბრიკაში დაიწყო ბრძოლა ჭირის საწინააღმდეგო ახალი, აეროზოლური მეთოდის, ე. წ. მშრალი შეფრქვევის დასანერგავად. მას შემდეგ 12 წელია დაავადება არ გაჰკარებია აქაურ ფრინველს. ერთი ქალი მშრალ შეფრქვევას 20 წუთის განმავლობაში ახდენს ასი ათას ფრინველიან საფრინველეში. ფაბრიკის მოწინავე მუშა ზოია აბაშიძე მშრალ შეფრქვევას წელიწადში 2 მილიონ ფრინველთან ატარებს. ამ მეთოდმა გააოცა ნორიოში ჩამოსული ლენინგრადელი სტუდენტი, მან შეცვალა თავისი ადრინდელი სადიპლომო ნაშრომი და ნორიოელთა მეთოდი აირჩია.

ძიებები, ახლის დანერგვა, სასარგებლოს შემომატება — ეს ხომ მერი მდივნის სტიქიაა!

მან ძველი, დასანგრევად შერჩენილი შენობები შეაკეთებინა და მწყერები მოაშენა. წელიწადში 4 ათას ტონა მწყრის ხორცს აბარებს ფაბრიკა.

ციცარის მოშენებაც ექსპერიმენტი გახლავთ, რომელმაც სავსებით გაამართლა იმედი. ხორცი ხორცად საუცხოოა, თანაც ეს ფრინველი ქვეწარმავალს ახლო-მახლო არ აჭაჭანებს.

ფაბრიკის ტერიტორიაზე დანგრეული შენობის ადგილას პოლიეთილენით გადახურული ლიმონარიუმია მოწყობილი. შარშან 300 კილოგრამი ლიმონი მოკრიფეს მეფრინველეებმა, საბავშვო ბაღს კი ზამთარშიც არ აკლია აქ მოყვანილი ყველანაირი ბოსტნეული.

მექანიზაცია, წარმოების სამრეწველო რელსებზე გადასვლა იმ წარმატებების საფუძველია, ფაბრიკამ ბოლო წლებში რომ მიაღწია. ფერმებში უნგრული გალიებია. იქ შესვლისას სითბო, სინათლე და სისუფთავე შემოგეგებებათ; საკვებს და წყალს მექანიზაცია აწვდის ფრინველს. 36 ათას ფრთა ფრინველს ერთი მეფრინველე და ერთი ოპერატორი უვლის. აი, სად ჩანს ხელის შრომის განდევნა!

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადის ხელმძღვანელისა და დამრიგებლის ელზა თოდუას ბრიგადას ექვსი საფრინველე აბარია: ოთხში 36 ათასი ფრინველია, ორში — 15 ათასი. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 3 ახალი საფრინველე, თითოეულში კვლავ 36 ათასი ფრთა ფრინველი იქნება და ისინიც ელზას ბრიგადას შეემატება.

დიდი შრომა უწევს ელზას, წუთი არ რჩება თავისუფალი, დროის მაქსიმალურად გამოყენებამ ნაყოფიერი გახადა მისი საქმიანობა და კიდეც მიიღო „საპატიო ნიშნისა", შრომის დიდების III და II ხარისხის ორდენები. არ შეიძლება, რომ კარგ ბრიგადირს ცუდი თანამოსაქმეები ჰყავდეს. ელზას შრომას აგვირგვინებენ ნინო გობეჯიშვილი, მერი გავაშელიშვილი, მაია ზვიადაური, ქეთევან ტატიშვილი, მართა ხიბლაშვილი, ლეილა ჩაგელიშვილი... საშუალოდ წელიწადში ერთ კვერცხმდებლიდან ისინი 245 ცალ კვერცხს იღებენ. ეს კი საუკეთესო ციფრია იმ წინა წლებთან შედარებით, როცა ერთი კვერცხმდებელი 120 ცალ კვერცხს იძლეოდა.

რამდენი ჯილდო, რამდენი აღიარება ხვდა წილად ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკას!

1979 წელს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელი მიეკუთვნა.

ზედიზედ რვაჯერ მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, ორჯერ საქართველოს რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშის მფლობელი გახდა; სამჯერ მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა გამოზამთრების პერიოდში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, ყოველწლიურად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა და დიპლომებით აჯილდოებენ; რესპუბლიკის პროფსაბჭომ ქალთა შრომის პირობების საუკეთესო მოწყობისათვის დააჯილდოვა. ვინ მოთვლის სიგელებსა და ფასიან საჩუქრებს! ერთ-ერთი საჩუქარი, ავტომანქანა „კოლხოზნიკი" უფასოდ მიიღო.

ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ ყოველწლიურად იზრდება პროდუქციულობა, მცირდება თვითღირებულება, იზრდება შრომის ნაყოფიერება, გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო გეგმები.

პროდუქციულობის გაზრდისათვის მერი მდივანმა ორმაგად დატვირთა გალიები, სადაც 50 ათასი ფრინველის ნაცვლად 100 ათასი იზრდება. ყველა პირობაა შექმნილი, რათა ფრინველის კვერცხმდებლობაც გაიზარდოს და იგი სახორცედაც მომზადდეს. თუ მომვლელებიც ორმაგად დაიტვირთნენ, სამაგიეროდ, ხელფასებიც ორმაგი გახდა, გაიზარდა პრემიები, ყოველდღიურად უმჯობესდება მუშათა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

ფაბრიკაში ბრიგადული ანაზღაურებაა, ეს ერთგვარი სტიმულია უკეთ მუშაობისათვის, თანაც შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ზარმაცს არავინ იჩერებს გვერდით. შექმნილია ბრიგადის საბჭო, რომელიც კონტროლს უწევს მუშაობის პროდუქციულობას, ერთმანეთისაგან განასხვავებს ზარმაცსა და მუყაითს, და ვინც თავს ნაკლებად იტვირთავს, იმას ქულებსაც აკლებს.

მეფრინველეებმა შარშანდელი წელიწადი 935 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრეს. მთლიანად ოთხ წელიწადში 2 მილიონ 300 ათასი მანეთით მეტი მოგება მიიღეს, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. ოთხ წელიწადში 3 500 ტონა ხორცის ნაცვლად 3 550 ტონა ჩააბარეს, სულ ხუთწლედის ბოლოს კი ნორიოელები 1 000 ტონით მეტ ხორცს ჩააბარებს სახელმწიფოს.

უახლოეს ხანში ფაბრიკის რეკონსტრუქცია დამთავრდება, მისი სიმძლავრე ორნახევარჯერ გაიზრდება.

მერი მდივანს ძალიან დიდი სამომავლო გეგმები აქვს. მას უნდა, დაკლულ ფრინველს ადგილზევე მიეცეს სასაქონლო სახე და ლამაზ ცელოფანის პარკებში შეიფუთოს, ოცნებობს საკონსერვო და კვერცხის ფხვნილის დამამზადებელ საამქროებზე.

მერი მდივანი ენთუზიასტია და ალბათ იგი ყველა ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებს.

რაც მთავარია, მერის სურვილია ეს ლამაზი ლოჭინის ხეობა, რომელიც უმცროს ძმასავით მიჰკვრია გვერდით თბილისს, ჩვენი დედაქალაქის პატარა თანამგზავრი იყოს და ინდუსტრიულ დასახლებად გადაიქცეს. ალბათ მე-12 ხუთწლედის ბოლოს ეს ჩანაფიქრიც განხორციელდება — აიგება 12 ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი და ფაბრიკის ყველა მუშა კეთილმოწყობილი ბინით იქნება უზრუნველყოფილი; ამ ფაბრიკა-ქალაქს დაამშვენებს ახალი კულტურის სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სასადილო, ამბულატორია, სავაჭრო ცენტრი. თბილისის ეს ლამაზი თანამგზავრი მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება გათბობითა და წყლით. მუშებს ინდივიდუალური მშენებლობის საშუალებაც მიეცემათ, მათს ლამაზ კოტეჯებს გარს შემოერტყმება 1000 კვადრატული მეტრი ფართობის ეზო, ბროწეულის, კაკლის, ლეღვისა და სხვა ხეხილის ხეებით დამშვენებული. თითოეული სახლი სვანეთის, რაჭის, იმერეთისა თუ გურიის მხარეს წარმოგვიდგენს (თავიანთი პატრონების კუთხური წარმოშობის მიხედვით) და აქ შეგვეძლება ვიხილოთ პატარა ეთნოგრაფიული მუზეუმი.

ფაბრიკის საბავშვო ბაღი ახალ, ორსართულიან, ტიპობრივ შენობაში გადავა, რომელიც 250 ბავშვისათვის იქნება გათვალისწინებული. საშუალო სკოლა გაფართოვდება და სწავლება მთლიანად კაბინეტური იქნება. სკოლასთან ახლოს აშენდება სპორტული კომპლექსი, სადაც ზამთარ-ზაფხულ ისარგებლებენ საცურაო აუზით. აიგება ახალი ადმინისტრაციული შენობა, ძველი შენობის რეკონსტრუქციის შემდეგ ახალგაზრდებს ექნებათ თავიანთი კლუბი და ქორწინების სასახლე (საბანკეტო დარბაზით), ძველ ფინურ შენობებში მოაწყობენ სასტუმროებს, საბავშვო ბაღის ძველი შენობა დედათა და ბავშვთა სახლად გადაკეთდება, სადაც ყველაფერი იქნება მათი მომსახურებისათვის; კიდევ უფრო იმატებს მოსახლეობა, მომრავლდებიან ბავშვები. ამის წამახალისებელი პირობები ახლაც არის შექმნილი: პირველი შვილის შეძენისას დედა ერთდროულად 100 მანეთს იღებს, მეორე შვილზე — 200-ს, მესამეზე — 300-ს, და ა. შ. ამ ბავშვების სახელზე გაშენდება პარკი, რომელიც თანდათან უფრო გაიზრდება და მწვანე სარტყელში მოაქცევს ინდუსტრიულ დასახლებას, მზე ამოწვერავს ტყის იქით და ზემოდან ქალაქში რომ ჩამოიხედავს, ნორიო დიდებულ, ლამაზ, საოცარ სანახაობად გადაიშლება.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 25 თებერვალი თენდებოდა

ნამდვილი ამბავი



საქართველოში მენშევიკების ბატონობის უკანასკნელი დღეები იდგა. მთავრობას საზღვარგარეთ გასაქცევად ბარგი-ბარხანა შეკრული ჰქონდა.

სახელოვანი მე-11 წითელი არმია, რომელსაც წინ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი მოუძღოდნენ, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა და თბილისს უახლოვდებოდა. მენშევიკური გვარდიელები მას წინააღმდეგობას მაინც უწევდნენ. სოფლების — ვაშლოვანის, კუმისის, თელეთისა და წალარკურის მიდამოები ცეცხლის ალში იყო გახვეული. მსხვერპლი ორივე მხარეზე დიდი იყო.

შეშინებული თბილისის მოსახლეობა ქალაქს ტოვებდა და ახლო-მახლო სოფლებსა და მთიან ადგილებში აფარებდა თავს.

მენშევიკები გაზეთებისა და პროკლამაციების საშუალებით ხალხში ათასგვარ ჭორებსა და ცილისმწამებლურ მოსაზრებებს ავრცელებდნენ, რომ ვითომ ბოლშევიკები კაციჭამიები არიან და არც მოხუცებს ინდობენ, არც ბავშვებს, ყველას ერთიანად მუსრს ავლებენ.

ბევრი ოჯახი წამოეგო მაშინ ამ პროვოკაციულ ანკესზე და მათ შორის ჩვენიც.

მამაჩემი დავითი ძველი თბილისის მოქალაქე იყო, სიონის ქუჩაზე პატარა სახელოსნო ჰქონდა. როცა მისი ამფსონები ოჯახებით გაიხიზნენ ქალაქიდან, მამამაც თავისი შვიდი შვილით ცოლეურს, თბილისიდან 18-20 კილომეტრით დაცილებულ სოფელ კუმისს მიაშურა. მართალია, ბიძაჩემები დავით და სიმონ მაისურაძეები შეძლებული გლეხები არ იყვნენ, მაგრამ იმდენი სურსათი კი გააჩნდათ, რომ ჩვენ დროებით დავეპურებინეთ. რაც მთავარია, პური და რძის პროდუქტები საკმაო ჰქონდათ.

უმცროსი ბიძა სიმონ მაისურაძე, რუსეთიდან ახლად დაბრუნებული, პირველ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებგადახდილი და ბოლშევიკური პარტიის წევრი გახლდათ, გლეხებში ბოლშევიკურ აგიტაციას ეწეოდა.

კუმისში ორბელიანებს საუცხოო ბაღ-ვენახები ჰქონდათ, რომელიც მენშევიკების დროს ერთგვარ თავლად გადააქციეს. როცა ხმა დაირხა, ბოლშევიკები იმარჯვებენ და სადაც არის შემოვლენო, გლეხების ერთი ნაწილი მენშევიკების პროპაგანდის შედეგად ამ მამულებს ასაჩეხად შეესია. სიმონ მაისურაძემ ისლა მოახერხა, რომ ორი დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალვისხე გადაარჩინა აჩეხვას. აქედან ერთი მათგანი დღესაც ამაყად დგას კუმისის მინდორში. საყურადღებოა, რომ ამ ვენახის ერთი ნაწილი ცნობილ ქართველ ქალს — მანანა ორბელიანს ეკუთვნოდა.

გათენდა 25 თებერვალი, კუმისისა და შავნაბადას მიდამოებში შეწყდა სროლა, სოფელში წითელარმიელები შემოვიდნენ. ისინი კუმისში, წალარკურში, თელეთში, სოღანლუღში სახელდახელო მიტინგებს აწყობდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას უხსნიდნენ მოსვლის ნამდვილ მიზნებსა და ამოცანებს განუმარტავდნენ, გლეხებს თხოვდნენ არ გაეწიათ რაიმე წინააღმდეგობა და დაჭრილი ჯარისკაცების მოვლა-პატრონობასა და დახოცილი მეომრების დაკრძალვაში დახმარებოდნენ.

მართლაც და, ადგილობრივმა სოფლის გლეხებმა ამ საქმეში ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს, თუ კაცები მარხავდნენ დახოცილებს, ქალები დაჭრილებს პატრონობდნენ და კუმისის სამების, თელეთისა და შავნაბადის ეკლესიაში, ბერ-მონაზონთა ბინებში და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობებში ათავსებდნენ, პირველ დახმარებას უწევდნენ, წყალს ასმევდნენ და აპურებდნენ. თვითეულ დაჭრილ ჯარისკაცს პირზე ეკერა სიტყვები „სპასიბო“, „ბრავო გრუზინსკაია ბაბა“, „მოლოდეც“ და სხვა.

მამაჩემმა თბილისში წასვლა მოისურვა. სროლა აღარ ისმის, თქვეს, რომ თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებსო, ჰოდა, წავალ, მივხედავ ჩემს სახლს და სახელოსნოსო.

დედაჩემი წასვლას უშლიდა და თხოვდა, კიდევ რამდენიმე დღეს დარჩენილიყო, მაგრამ მამაჩემმა მაინც თავისი გაიტანა და გზას გაუდგა.

როდესაც შავნაბადის მთას მიუახლოვდა, ნახა, რომ სანგრებში წითელარმიელები კვლავ შეიარაღებულნი იყვნენ და ტყვიამფრქვევებიც ედგათ.

უცებ ერთ-ერთი წითელარმიელი გადასდგომია წინ: „სად მიდიხარ? ხელები მაღლა!“

— მამაჩემს, ცხადია, შეშინებია და იმ წუთში ხელები მაღლა აუწევია, თან კანკალით წარმოუთქვამს: „ია ნი მენშევიკ! ტიფლისკი გრაჟდანინო“.

როდესაც გაუჩხრეკიათ და არაფერი აღმოჩენია, უფროსთან მიუყვანიათ, მასაც დეტალურად გამოუკითხავს, თუ საიდან მოდიოდა, სად მიდიოდა, სოფლად რა ამბავია, რას ლაპარაკობს ხალხი ბოლშევიკებზე და სხვა.

მამაჩემს დაწვრილებით უამბნია, რომ ქალაქში შიმშილია, ხალხი სოფლად გაიქცა, ჩემი ცოლშვილიც ეს ერთი კვირაა სოფელ კუმისშია და რადგანაც სროლა უკვე მიწყდა და ხალხმა თქვა, ომი დამთავრდა, ბოლშევიკებმა გაიმარჯვესო, მეც თბილისისაკენ წასვლა დავაპირეო.

— მაინც რას ამბობენ ჩვენზე? — უკითხავს უფროსს.

— რაო და, ეს ბოლშევიკები ხალხს ხოცავენო, მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებსაც არ ინდობენო, ყველას ქონებას ართმევენო.

— ეს მენშევიკების მოჭორილი ამბავია. ჩვენ არავის ვერჩით და არავის ვართმევთ ქონებას. ჩვენ მხოლოდ მშრომელი ხალხის ინტერესებს ვიცავთ. ქვეყნად მშვიდობას, თანასწორობას და ძმობას ვამყარებთ.

— აი გაცოცხლათ ღმერთმა, ახლა კი გავიგე, როგორ არ გავიგე, „სპასიბო ვაშე ბლაღოროდიეო“. — უთქვამს მამაჩემს.

— ივან! — დაუძახია იმ უფროსს ერთ-ერთი რიგითი წითელარმიელისთვის, — მიეცით ამ მოხუცს საგზალი და გაუშვით, წავიდეს თბილისშიო.

მამაჩემისთვის მათ ერთი დიდი „ბუხანკა“ პური, რამდენიმე ნატეხი შაქარი, კონსერვები და ბოლში გამოყვანილი ღორის ხორცის ნაჭერი მიუციათ.

მამაჩემს დიდი მადლობა გადაუხდია და უკან, სოფლისაკენ გამობრუნებულა.

— სად მიხვალ, კაცო!? — უთქვამს წითელარმიელს. — აკი თბილისში მიდიოდი!

— მართალია, მაგრამ თქვენ ისე დამტვირთეთ საჭმელ-სასმელით, რომ უკეთესია ჩემს ცოლ-შვილს წავუღო სოფელში. რახანია, შაქრის ფერი არ უნახავთ. ჩემი ცოლი კი პურზე ნიორს უსვამს და ისე სვამს ჩაის.

— კარგი, წადი, მოინახულე, გაახარე თქვენები, ოღონდ არ დაგავიწყდეს, რაც გითხარით, გლეხებსაც ყველაფერი უამბე და ქალაქშიც ჩვენზე ნამდვილი ამბავი ჩაიტანე.

— „ვაშე ბლაღოროდიე“, „ბოლშოე სპასიბო“, როგორც მითხარი ისე მოვიქცევი.

— მოიცა! ყველაფერი კარგია, მაგრამ ეგ სიტყვა „ბლაღოროდიე“ უნდა დაივიწყო. ახლა სხვა დროა, „ბლაღოროდიები“ აღარ არიან, ახლა ჩვენ ყველანი ამხანაგები ვართ, მათ შორის შენც.

— რას ამბობთ, კაცო, მე „ტიფლისკი გრაჟდანინი“ ვარ, ჩემი მამაპაპაც „ტიფლისკი გრაჟდანინები“ იყვნენ.

ამ საუბარზე სანგრებში მყოფ წითელარმიელებს ერთი სიცილ-ხარხარი აუტეხიათ.

ასე იყო თუ ისე, მამაჩემი დაბრუნდა სოფელში და გზაში თურმე სულ იმას გაიძახოდა: ვა რა დალოცვილები ყოფილან ეს ბოლშევიკებიო, ამაზე მეტი ხვთისნიერი ხალხი ალბათ მთელ დუნიაზე არ იქნებაო.

მამაჩემი ეზოში შემოსული რომ ვიხილეთ, რასაკვირველია, გაგვიკვირდა და დიდადაც გაგვიხარდა. მაშინვე მივცვივდით და ათასი შეკითხვა მივაყარეთ, თანაც „ნადავლს“ ვუსინჯავდით.

— მოიცათ, კაცო, მოიცათ, გეტყვით ყველაფერს.

საღამო ხანს იგი კვლავ თბილისისაკენ გაეშურა. იქ თავისი ამფსონები მოინახულა და მათაც ყველაფერი უამბო, თან სულ ბოლშევიკების ქებაში იყო.

სოფელში კი დედაკაცები თავიანთ კეთილშობილურ საქმეს განაგრძობდნენ და ეკლესიებში მყოფ დაჭრილ მეომრებს უვლიდნენ.

ერთ დღეს, როცა ბიცოლაჩემს — მელანოს ეკლესიაში ჯარისკაცებისათვის, მაწვნის შეჭამანდი აუტანია, ერთ-ერთ მათგანს უთქვამს — „სიცხე მაქვს და იქნებ „პროსტოკვაშა“ მიშოვნო, აჰა ფული, რამდენიც გინდა წაიღეო“.

ბიცოლა შინ რომ დაბრუნდა, ეს ამბავი ქმრისთვის უამბნია.

— არა, ჯერ ერთი, ფულს როგორ გამოვართმევ და, მეორეც, საიდან მოიგონა ამ ზამთარში პრასა და კვასი, ახლა რა ვქნა, დავპირდი კია, „ხოროშო, ხოროშო“ მეთქი.

— ქალო, — უთხრა სიცილით ბიძაჩემმა, — მას შენთვის პრასა და კვასი კი არა, მაწონი უთხოვია.

ამის გაგებაზე თავში იკრა ხელი ბიცოლამ: ქაა, მაწვნის მეტი რა მაქვს. ახლავე უნდა ავურბენინო, იქნებ რა გუნებით ითხოვა და ცოდვააო“. თქვა, წამოავლო ხელი თიხის ვიწროყელიან მაწვნის ქილას და წასვლა დააპირა.

ბიძაჩემი წინ გადაუდგა:

— რას სჩადიხარ, დედაკაცო! ამ სიბნელეში სად გაგიშვებ.

მაგრამ როცა ბიცოლამ თავისი გაიტანა, მაშინ ბიძაჩემიც თან გაჰყვა, ავიდნენ კუმისის მთაზე და მივიდნენ ეკლესიაში...

25 თებერვლის შემდეგ გავიდა ერთი კვირა, მამაჩემი ჩამოვიდა თბილისიდან სოფელში და გვითხრა: უკვე მშვიდობაა ქალაქში, უნდა წაგიყვანოთო. ასეც მოხდა. უფროსმა ბიძამ დავითმა შეაბა ხარები ურემში, ჩაგვსხა შიგ ყველანი და წამოვედით თბილისში. შავნაბადას მთას რომ მივუახლოვდით, მამაჩემმა გააჩერებინა ურემი და გვითხრა: აი, აქ იყვნენ ჩამსხდარნი ის წითელარმიელები, მე რომ გამაჩერეს და დიდძალი სანოვაგე მომცესო. მაგრამ სანგრებში უკვე აღარავინ იყო. არც კუმისის, თელეთისა და შავნაბადის ეკლესიებში დაეტოვებინათ დაჭრილები. თბილისიდან ჩამოსულიყო „წითელი ჯვრის“ ორგანიზაცია და ყველა დაჭრილი ჯარისკაცი თბილისში ნავთლუღის ჰოსპიტალში მოეთავსებიათ.

ერთი თვის შემდეგ ბიძაჩემმა, სიმონ მაისურაძემ, რომელიც უკვე სოფელ კუმისის რევკომის თავმჯდომარედ აერჩიათ, ასეთი წერილი მიიღო: „ძვირფასო ადამიანებო! გულითად მადლობას გიხდით ყველა იმ დაჭრილი მეომრის სახელით, რომლებიც სოფელ კუმისის „სამების“ ეკლესიაში ვიყავით მოთავსებული რამდენიმე დღე და, თქვენ, უმაგალითო გულისხმიერება და ადამიანობა გამოიჩინეთ ჩვენდამი. თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ალბათ არც ერთი ცოცხალი არ დავრჩებოდით. დიდი მადლობა თქვენს კეთილშობილ ქალებს.

დიდი მადლიერების გრძნობით საშკა სოკოლოვი“.

ამ წერილს ბიძაჩემი სათუთად ინახავდა სიკვდილამდე და ჩვენთვისაც ბევრჯერ წაუკითხავს სოფელში ყოფნისას.

არ. სტეფანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი დღეს სვამს მიწების მელიორაციის ფართო მასშტაბით გაშლის საკითხს**



ვ. გენგიურის ფოტო

# წყურვილს იკლავს ქართლის მიწა

ადგილის მდგომარეობას გამოხატავდა თავის დროზე ქართლში, ტირიფონის ველზე გაშლილი სოფლების სახელწოდება დიდი ხურვალეთი, პატარა ხურვალეთი, ქარსატევლა... ახლა კი მხოლოდ სახელწოდება შემორჩა, მდგომარეობა კი სულ სხვაა.

ქართლელი კაცის საუკუნოვანი ოცნება იყო ტირიფონაზე წყლის მოსვლა.

აქ მხოლოდ პური, ქერი და ნაწილობრივ სიმინდი მოჰყავდათ. მებაღეობა-მევენახეობაზე, მებოსტნეობასა და შაქრის ჭარხლის მოყვანაზე ვინ ფიქრებდა.

საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება... და აი, გაჩნდა დოკუმენტი:

„ამხ. არჩილ!

მაპატიეთ, რომ ვერ წამოვედი, მაგრამ წაგებული არა ხართ, ტირიფონის არხის შესახებ დღეს „ზაკრაიკომმა“ გამოიტანა დადგენილება... იმედი მაქვს ამ ზაფხულზე შევუდგებით საქმეს — მუშაობას.

ძმური სალმით სერგო ორჯონიკიძე“.

ეს დეპეშა მიიღო გორის სამაზრო კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა, ტირიფონის არხის მშენებლობის ერთ-ერთმა ინიციატორმა არჩილ დიმიტრის ძე გიორგაძემ.

მერე შვიდ წელიწადს სიმშვიდე და მოსვენება დაკარგა ტირიფონის ველის ბინადარმა ხალხმა, ტირიფონის ველისა კი არა, მთელი ქართლისამ...

სად იყო ტექნიკა! ხელით, ზურგით, ბარით, თოხით შრომობდა ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა...

ტირიფონის სარწყავი არხისა და რამდენიმე პირველი რიგის განმანაწილებლის მშენებლობა 1930 წელს დამთავრდა.

შეიქმნა რაიონის სამელიორაციო ამხანაგობა, რომელიც შემდეგ წყალთა სამმართველოდ და დღეს გორის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოდ იწოდება.

გზა მიეცა დიდ ლიახვს ტირიფონის მოწყურებულ ველზე. ბეტონის აკვანში წყალი ჩაეშვა და უკვდავებად დაეპკურა მიწას.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ლიახვივით უხვი გახდა ცხოვრება. არხის გასწვრივ 10-მდე მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა გადაიჭიმა.

ტირიფონის არხი თითქმის 28 000 ჰექტარ

მიწას ასმევს წყალს გორის რაიონის ტერიტორიაზე. მისი წარმადობა პირველად წამში 7 კუბმეტრი იყო, მერე კი 13-14 კუბმეტრამდე გაიზარდა.

აყვავდა ბაღ-ვენახები, დახვავდა ბოსტნეული, შაქრის ჭარხალი. სამჯერ და მეტად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

შემდეგ ცხოვრებამ კვერნაქისა და ორჭოსანის ფართობების გასარწყავება მოითხოვა.

წყალი ტირიფონის მაგისტრალური არხიდან მძლავრი წყალსაქაჩებით აიღეს და 7,2 მილიონი კუბმეტრის ტევადობის წყალსაცავი „გაჩნდა", რომელმაც 3 000 ჰექტარი მოურწყავი მიწა გააცოცხლა.

ტირიფონის არხი თანდათან იტვირთება. ახლა იგი 28 000 ჰექტარ მიწას არწყულებს. მას მხარში უდგას სალთვისის და მალხაზის წვერის სარწყავი სისტემები.

გორის რაიონში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოსთან ერთად უხვი მოსავლისათვის იბრძვის ტრესტი „მტკვარწყალმშენი".

მიმდინარეობს ტირიფონის ძველი სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხისა და შიდა სარწყავი ქსელის რეკონსტრუქცია. ნახევარი საუკუნის არხი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა გაზრდილ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. პირველი და მეორე რიგის სამუშაოები უკვე დამთავრდა. მიმდინარეობს მესამე რიგის სამუშაოები. წლეულს მაცოცხლებელ წყალს 150 ჰექტარი მიწა მიიღებს.

ხუთწლედის ბოლოს ტირიფონის არხის რეკონსტრუქციის შედეგად გორის რაიონში 30 600 ჰექტარი მიწა მოირწყვება, არხის გამტარიანობა წამში 18 კუბმეტრამდე გაიზრდება.

კვერნაქის მთის სამხრეთ ფერდობების ერთ ნაწილს, სოფელ უფლისციხის მხარეს, საპატარის მიწებს უწოდებენ. თუ ბუნება გლეხკაცის ნაამაგარს წყალობის თვალით გადმოხედავს, იცოცხლე, საპატარის მადლიანმა მიწამ დალოცვილი მოსავალი იცის, მაგრამ, თუ ბუნებამ უმუხთლა...

...რომ ვერ უმუხთლოს, მელიორატორმა მშენებლებმა მტკვრის მარცხენა ნაპირთან წყალსაქაჩი სადგური ააგეს, სადაც ორი მძლავრი ტუმბო დაამონტაჟეს. თითოეული საათში 300 კუბმეტრ წყალს გადაქაჩავს 300 მეტრის სიმაღლეზე. რწყვას ერთდროულად ექვსი აგრეგატი ატარებს. ამოისუნთქა საპატარაზე 230 ჰექტარმა მიწამ!

საპატარის სარწყავი სისტემა შარშან ვადაზე სამი თვით ადრე გადაეცა საექსპლოატაციოდ. ობიექტი სახელმწიფო კომისიამ „ფრიადი" შეფასებით ჩაიბარა.

„მტკვარწყალმშენმა" გორის რაიონის ტერიტორიაზე სულ 1.500 ჰექტრამდე მიწა გაასარწყავა, 325 ჰექტარი დააშრო, 330 ჰექტარი გააწყლოვანა, წყალმომარაგება 55 ჰექტარზე გააუმჯობესა.

„ამოცანა, რომელიც დღეს მელიორატორთა წინაშე ისახება ის არის, რომ ყოველნაირად აამაღლონ სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენების ეფექტიანობა, მიიღონ აქ დაპროგრამებული სტაბილური მოსავალი," — თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ეს სიტყვები გორელ მელიორატორთა სამოქმედო პროგრამად იქცა.

**ლალი ჯანკოტაძე**

„მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა"

ე. ა. შევარდნაძე

**სტეფანე მხარგრძელი**

# ბალადა უკვდავებისა

მივდევ ქართლის გზა-ბილიკებს, მგოსნად სულ არ ვითვლები,
რადგან მგოსნობს თვით ბუნება ყვავილების რითმებით.
გზად დედაკაცს გადვეყარე, ნახირს მისდევს ბებერი,
ერეკება, როგორც ნამდვილ მენახირეს შეჰფერის.
— ბებო, საით ეპირები, სად მირეკავ ამ ნახირს?
— აგერ, ხოდაბუნის პირას, რომ ბიბინებს ბალახი,
იქით, სადაც შრიალებენ ჭერაც ნორჩი მუხები,
იქ მივრეკავ სოფლის ნახირს ამ ბებერი მუხლებით.
— რამდენი წლის მოიყარე? — რაღა დამრჩა ვადამდე,
ოთხმოცდაცხრა შევასრულე, მეათეში გადავდექ...
თქვა და ბუჩქთან ჩაიმუხლა, იყო წლებით დამჭკნარი,
ძირს დააგდო შვინდის ჯოხი, წყალი მოსვა მათარით.
— რამდენი გყავს, ბებო, შვილი, ან იქნებ ხარ უშვილო?
— უშვილო ხომ ფუჭი ხეა, აგრემც ღმერთმა გიშველოს!
— ერთი შვილი — არა შვილი, ჩამოთვალა ბებიამ, —
ორი შვილი — ვითომ შვილი, არად ჩასაგდებია...
სამი შვილი — მართლა შვილი, ხე ვარ ტოტებგაშლილი,
რადგან ვზარდე სამჯერ სამი — დედა მქვია ცხრა შვილის.
ცხრავე გზაზე დავაყენე, ცხოვრება აქვთ თავ-თავის,
მე გავლეწე ჩემი კალო, ჩემგან გაზრდილ თავთავით.
ოლე-ოლე სვლას და წანწალს მირჩევნია მრავლობა,
რომ სამშობლოს მივანაბრო ჩემი შთამომავლობა...
უკვდავია თითქმის ქალი, გამომზრდელი ცხრა შვილის,
სიკვდილს კი არ ემალება, შვილთ სიმრავლით დასცინის,
— იხარე და იდღეგრძელე, რა გაცოცხლებს მითხარი!
— რა მაცოცხლებს? შოთი პური, წყაროს წყალი ანკარა,
ეს ჰაერი, ეს ბალახი, მზე ცხრათვალა, თაკარა...
არ გავურბი აღმართ-დაღმართს, არა ვკარგავ იმედებს,
ალბათ ბედი ჩემკენ არის და წლებს ჩემთვის იმეტებს.
სახლში ცუდად როგორ დავჯდე, ხალხისათვის ვიწვალებ,
ეს ოხერი, სასიკვდილოდ ერთხელ ვერ მოვიცალე!
აქ კი უცებ მომეძალა ფიქრი გულის მთუთქავი,
რა იქნება, ამ ქალივით ვიყოთ ყველა უკვდავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაის ბუჩქი და თერთმეტი აკვანი



...„სულ ერთი არის ფაცხა და ოდა, თუ სიყვარული არსებობს ცოტა. პატარა სახლი, როგორც ნალია, თვით სასახლეზე იდუმალია...“ გალაკტიონის ეს სტრიქონები მომაგონდა, როდესაც ბობოყვათის მკვიდრის, გმირი დედის მერიემ სურმანიძის ეზო-სახლს შევავლე თვალი. აქაურ მცხოვრებთა სასახლეების ფონზე, მართლაც პატარაა ენვერ და მერიემ სურმანიძეების სახლი, მაგრამ რამდენი სითბო და სიხარულია ჩაბუდებული ამ ჭერქვეშ, რა მდიდრები არიან მისი პატრონები... დიდმა სიყვარულმა, ამ ჭერქვეშ რომ არსებობს, შეაძლებინა დედას თერთმეტი შვილი აღეზარდა სამშობლოსათვის.

ხულოელია მერიემი, სოფელ ფუშრუკაულში გაიზარდა. იქვე გათხოვდა ჩვიდმეტი წლისა. წლისთავზე ვაჟი შეეძინა. დაიტვირთა პატარა დიასახლისი. თან კოლმეურნეობაში მუშაობა და თან აკვანთან ჯდომა იოლი არ იყო. მაგრამ დედობა ყოველგვარ გაჭირვებას ატანინებდა.

შემდეგ სურმანიძეების ოჯახი ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში ჩამოსახლდა. აქ დაირწა მეთერთმეტე აკვანიც. დედას კალთაში ხან თვალებმახარა ბიჭუნა უჯდა, ხან ხატულა გოგონა. მეათე შვილზე მერიემს გმირი დედის საპატიო წოდება მიენიჭა. გადიოდა წლები. უფროსები რომ წამოიჩიტნენ, მერიემს გაუადვილდა შვილების მოვლა, ბავშვები ერთმანეთს ზრდიდნენ, მზრუნველობდნენ. არაფერი პატარავდებოდა ოჯახში — ერთმანეთზე გადადიოდა პაწია შარვლები, ციცქნა კაბები. აბა, სად იყო იმდენი, თერთმეტივეს მუდამ ახალ-ახალი რომ სცმოდა.

დიდ ოჯახს დიდი ლუკმაც სჭირდება. ენვერი და მერაბი დღედაღამეს აწორებდნენ, რომ პატარებს არაფერი მოკლებოდათ. ესეც რომ არ ყოფილიყო, განა ახალ მეზობლებში თავს შეირცხვენდნენ, შრომაში ჩამორჩებოდნენ? თამბაქოს, კარტოფილის, ლობიოს, სიმინდის მოვლა-მოყვანას შეჩვეული ხელები ჩაის ბუჩქების მზრუნველობასაც შეეგუა. წამოეწია მერიემი ჩაის ფოთლის კრეფის ბობოყვათელ ოსტატებს, ყოველწლიურად 5-6 ტონა ფოთოლს კრეფდა. დილით რომ საოჯახო საქმეს მოითავებდა და ბავშვებს ასაუზმებდა, ჩაიში გარბოდა, მერე შუადღეზე ისევ მოუყრიდა თავს შვილებს, ყველას საქმეს მიუჩენდა და კვლავ პლანტაციისაკენ გარბოდა. უკვდავებაა მრავალი შვილი მშობლის წილხვედრი.

ახლა მათ თავიანთი ბუდე აქვთ, თვითონ არიან მშობლები. სულ უფროსი ბობოყვათის კოლმეურნეობაში შრომობს; ნაზი ბათუმშია გათხოვილი, სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს; ვარდო ხელვაჩაურში ცხოვრობს, მოწინავე კოლმეურნეა. რევაზი ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშაა, შუშანა ლანჩხუთში გათხოვდა, გურამმა სამხედრო სამსახური მოიხადა, დაცოლშვილდა და ოჯახში ცხოვრობს. გუგული ცეცხლურის საბჭოთა მეურნეობის მუშაა, ზაური სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა, თამარმა ახლახან დაამთავრა სკოლა, ლამარა მოსწავლეა.

მართალია შვილები დაოჯახდნენ, მაგრამ მშობლიურ ფუძეს არ ივიწყებენ, დღეასწაულზე ერთად იყრიან თავს. გაზრდილები უკვე ერთი ქორწილის ხალხია და არაფერი სჯობს მაშინ მათს დანახვას...

ღედა თითქოს არ ბერდება. თერთმეტივე რომ კარგად ჰყავს, ის ახალისებს. ბობოყვათელი მეჩაიე ჩაის ბუჩქის მოვლასაც მეტ დროს ახმარს და ფოთოლსაც მეტს კრეფს.

ლია ბრძელიძე,
ქობულეთის რაიონულ გაზეთ „ლენინელის“ განყოფილების გამგე.

# გაუმარჯოს რქაწითელს

გლეხს სიჯიუტეში ვერა სულიერი ვერ შეედრება და, ისიც ჯიუტად ისევ და ისევ რგავს ვაზსა, რადგან უიმისოდ ვერც ჭირი წარმოუდგენია და ვერც ლხინი.

— ფუი, თქვენ ნამუსს რა ვუთხრა, რო დამინახეთ, სახედარივით აკიდებული მოვდივარ, არ უნდა მამეშველნეთ? — შუბლიდან ოფლი მოიწურა დაღლილმა გაბრომ.

— ვინ გითხრა მაათრიეო! — ფეხი წაუკრა ტომრებს გაბროს უფროსმა ვაჟმა.

— ჯიბრში ჩაგვიდგა, საზამთრო არ დათესონ ნავენახებშიო! — თქვა უმცროსმა.

— დაიმოკლეთ ენა, — დაუცაცხანა უცებ თავზე წამომდგარმა ქუქუნამ შვილებს.

— გახსომს, დედაკაცო, პირველი გოგო რო გეყოლა, გამწყრალი შინ არ მოვდიოდი. ესენი რო დაჩნდნენ, ორჯერვე სოფელი ავიკელი ყიჟინითა და თოფის სროლით. მე და ჩემმა ღმერთმა, ის გოგო სჯობს ამათ ორივეს. სტუმრათ რო მივალ, ღვინოს მაინც დამალევინებს. ამათ კი სამამულე რქა არცერთს არ ეტყობა. ხანდახან ვფიქრობ, ჩემები არ არიან მეთქი.

— რას მიედ-მოედები, კაცო, მაშ ვისები არიან? სწორედაც რო შენა გგვანან სიჯიუტეში. განა მართლა არ იცოდნენ, გურჯაანში ათასი ძირი ნამყენი რქაწითლის ნერგი რო უნდა გეყიდა?.. მაგრამ საზამთროს დათესვა ნებავდათ იმ ნაკვეთში და მიტომაც იჯაგრებიან.

— ზოგმა ახალშენი გაკაფა და საზამთრო დათესა. ჩვენ მაინც ამოვძირკვეთ ძველი ვენახი და რა მოხდებოდა ერთ-ორ წელიწადს სხვა რამე დაგვეთესა, მერე ვაზს ჩავყრიდით. — არ ტყდებოდა უფროსი.

— მაშ, ორპირი დავაბრუნე, დამწვარი ნაკელი დავაყარე, ჯერ საზამთრო დავთესოთ, რაც ღალა აქვს იმას შავაჭამოთ და მემრე ვაზი ჩავყაროთ? რა მითქვია თქვენისთანა ქართველისათვინ! კაცს ნაკვეთი ჰქონდეს და ვენახი არ გააშენოს, ის რა ვაჟკაცია; დღეს ფული და ქონება არავის აკლია, მაშ რა უნდა ჩავასხა მამაპაპის დანატოვარ ქვევრებში, რა გაგვიჭირდა ამისთანა! რაც ქვევრში ღვინო გამითავდა, სტუმრისა ცეცხლივით მეშინია და, რაღა ქართველი მქვიან! თქვენმა დის ოჯახმა, ხომ ნახეთ შარშან, ათასი მანეთი ფულიც აიღო სახელმწიფო მარნიდან და თავიანთი სამყოფი ქვევრებიც გაავსო.

— კაცო, გაბრო, გითხარი, ათიოდე ძირი ქართული ატმის ნერგიც იყიდე, ვენახს უხდება, თავ-ბოლოს ჩავურგოთ-მეთქი. დაგავიწყდა?

— არ დამვიწყებია. ატმის ნერგებიც ვიყიდე და ათიოდე ნამყენი ადესისაც, ეზოში თალარი გავმართოთ.

— კარგი იქნებოდა მამაჩემო, მთლიანად ადესის ნერგები გეყიდა, მეწამულა აღარ დასჭირდებოდა, — ურჩია უმცროსმა ვაჟმა.

— ადესაო! რის ადესა, რის ადესა, განა გიჟი ჭრელია! — ეგე, მაგეთია, ეგე, შენ და შენი ძმა რო ხართ. რქაწითელს რომელი ვაზი შეედრება? იმის მტევანს რო გახედამ, შიგ მზე თამაშობს, ვერა ღვინო ვერ დაჩაგრავს ფერით... ახლა ძალას არ იკითხავთ? ერთი ლიტრა თუ აგათამაშებთ, ორი ძირს დაგცემთ, კარგი ფალავანივით. ვევლაფერს რო თავი დავანებოთ, ჩვენებურია, ქართული!

— რა ენათ გაიკრიფე, კაცო, ეგ ამათაც იციან! რქაწითლისას არ ვაყენებდით ღვინოს? ერთი არა მკითხე, ექიმმა რა გითხრაო!

— ექიმთან რა გინდოდა შენა, შენი ვაჟები უნდა წაგეყვანა, ნამდვილად აწუხებთ რაღაცა, თორემ დაოჯახება რად ეზარებათ!

— როგორ თუ რა მინდოდა, ბრმა იყავი, გუშინწინ არ წავედი ქალაქს, ექიმთან?

— მე რა უნდა ვიცოდე, დედაკაცო, რა ხანია, დავშორიშორდით და...

— მეხი კი დაგაყარე მაგ ზღარბივით თავზე, ამხელა ვაჟკაცი შვილები გყვანან, ამათი მაინც რატო არ გერიდება!

— რა ეტყობათ ვაჟკაცობისა? ამათი ტოლა რო ვიყავი, სამი შვილი მყავდა. აფსუს, ნეტავი შაიძლებოდეს, ერთხელ კიდევ ვიქორწილო, მადა ვისა აქ და ვის ეხვეწებიან, ფლავი მიირთვიო. — ცოლს გაბრაზება შეატყო გაბრომ და საუბრის თემა შეცვალა. — რაო ექიმმა, ცუდი ხო არაფერი უთქვია, რაღაც გუნებაზე ვერა ჩანხარ.

— ისეთი არაფერი. გამსინჯა, ანალიზებიც აშილო. დასალევი წამალიც გამამიწერა, მალამოც. ფული ხან ერთ ჯიბეში ჩავუდე, ხან მეორეში. ახალგაზრდა ქალი იყო. არაფრით არ აიღო. ნეტავი როგორც იმისგან კმაყოფილი წამოვედი! განა თუმნისთვისა, ისე, მესიამოვნა!

— იქნებ, ჩემი დაგენაღვლა, ორი დღეა არ გინახივარ? — ჩაიცინა გაბრომ.

— შენმა მზემ, როცა შენთან ვარ, სულ „ქუჩუნა წვიმას“ მიმღერი! აქედან მიმავალი, ავტობუსის ფანჯრიდან თვალს ვერ ვაშორებდი, იმისთანა მსხმოიარე და მოვლილი ვენახები იყო. იქიდან მომავალმა კი რაც ვნახე და გავიგონე, პირისპირ გული ჩამწყვიტა. საგარეჯოში ერთი მოხუცი ამოვიდა ჩვენ ავტობუსში, — ცოტაზე გამაყოლეთო. — მოფერმა შეუტია, — ფეხით ველარ წახვედიო. — კა, შვილო, ამ ტიალმა სეტყვამ მამწყვიტა წელი, თორემ სულაც ფეხით დავდიოდიო. — სეტყვის გაგონებაზე ადგილიც დაუთმეს მგზავრებმა და ყურიც მიუგდეს. — გუშინ საღამოს ამოდენა გარჯითა და ოფლით მოყვანილი მოსავალი, — ყვებოდა მოხუცი — ტიალმა ნახევარ საათში ხელიდან გამოგვაცალა. მთავრობის თავკაცები დილა-ბნელზე მოცვივდნენ ქალაქიდან. სულ ფეხით შამაიარეს კერძოებიცა და საერთოც. ჩურჩხელებივით აყვნენ ტლაპოში ამოვლებული. ძნელია მათთვისაც, რო არ იციან თავზე კაკალი ვის გადაამტვრიონ, აგეთი დიდი წანახდენისთვისაო — მოხუცი ჩაჟიდა და მასთან ერთად ამოიოხრა ყველა მგზავრმა.

— მიტომაც არა ღირდა ვაზის ჩაყრა, სეტყვა იგრე შამოგვეჩვია... — მიზეზი იპოვნა უფროსმა ვაჟმა.

— თანაც ის ნაკვეთი ჭაობლობშია და ხშირი წვიმების დროს იტბორება... — ძმას წამოეშველა უმცროსი.

— კარგით, შვილო, — დაუყვავა ქუქუნამ შვილებს. — მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ნერგი ნაყიდია და ვენახიც გვექნება. „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია“. სეტყვა თუ მოვა, არც საზამთროს დაუკოცნის ტუჩებს. დატბორვა კი ნუ შეგაშინებთ, ტყუილად ხომ არ მეყვედრებით სამ-სამი მექანიზატორი! ერთი თქვენი რკინის რაშებით გაუარეთ და, ზედმეტი წყალი, საითაც გამიხარდება, იქეთ გადაუგდეთ.

— ეგრე, ეგრე, დედაკაცო, შენ გენაცვალოს შენი გაბრო. აბა ტყუილად გვანამუსებენ ჩვენი პოეტები: — „ვაზია გლეხკაცის, ქართველი გლეხკაცის, მართალი გლეხკაცის უფროსი ვაჟიო!“...

— კაცო, გაბრო! როდის აქეთ არის ლექსების კითხვა დაიწყე?

— მინდორში კონცერტი რო ჩაგვიტარეს, იმათ იმღერეს. მემეწონა, დალოცვილი, თითქოს ჩემ გულში მჯდარა. ვიკითხე ვისი დაწერილია მეთქი.

აბა, გაუმარჯოს ყველას, ვინც ვაზის ქომაგია. გაუმარჯოს რქაწითელს!

თინა მირზაანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ხომ არაფერი გიჭირთ, რით დაგეხმაროთ?



რუსუდან ლეკბორაშვილი

ვაგონის ერთ კუთხეში მიყუჟულიყო, სახე მაზარაში ჩაერგო, ომის ქარცეცხლში გამოვლილს სინაზე და ხათნოება მაინც შერჩენოდა... უკრაინის მეორე ფრონტი — რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის გზები ჰოსპიტლის ექიმმა რუსუდან ლეკბორაშვილმა ბრძოლით გაიარა. დიდი სამამულო ომი რომ დამთავრდა, ეგონა შინ დაბრუნდებოდა, მაგრამ... სამხედრო სამსახური თავისას ითხოვდა. იაპონიასთან ომის ახალმა კერამ იფეთქა... შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს, სადაც იაპონელ ტყვეთა ბანაკი იყო განლაგებული.

ომგადახდილი ქალიშვილი მოქანცა ხანგრძლივმა მგზავრობამ. „ერთ ღამეს რკინიგზის სადგურში გაათევთ, შემდეგ კი ისევ მატარებლით განაგრძობთ გზასა". — გამოუცხადა ერთხელ მატარებლის უფროსმა. რუსუდანს გაეხარდა. ვაგონების გამაყრუებელ ჯახჯახში ძილის ნაცვლად, შენობაში მყუდროდ ერთი ღამის გათევაც კარგი იყო. ვაგონის სარკმლიდან მხოლოდ ღამეული ცის გუმბათი მოჩანდა.

ფეხი მატარებლის საფეხურებზე ჩამოდგა და... სად იყო სადგური? უკუნ ღამეში მბჟუტავი შუქი მხოლოდ მიწურიდან ჭიატებდა. შუქს გაჰყვა და მიწისქვეშ მოთავსებულ სადგომში შევიდა. იქ ოთხმოც წელს მიღწეული მოხუცი დაუხვდა. თბილად მიიღო ფარაჯიანი გოგონა. თვალებში გაოცება შეატყო. მშვიდად ჰკითხა: — არ მოგწონს? — რას იზამ, ეს ჩვენი რკინიგზის სადგურია. აქ მოისვენეთ, — და კუთხეში მიდგმულ ხის გრძელ სკამზე მიუთითა.

— საით გაგიწევიათ?

— ჩიტის ოლქში, შერლოვის მთებში, — უპასუხა რუსუდანმა.

მოხუცმა მხრები აიჩეჩა.

— ძია, ზამთარი იქ რამდენხანს იცის?

— ცამეტ თვეს, დანარჩენი ზაფხულია — ჩაეღიმა სადგურის უფროსს.

რუსუდანი ბანაკში სამედიცინო განყოფილების უფროსის მოვალეობას ასრულებდა, სუსტი მხრებით მძიმე ჭაპანს ეზიდებოდა. ომმა უეცრად დააბრძენა, მშვიდად, გონიერად საქმიანობდა.

დადგა გაზაფხული. ბუნება ფერს მაინც არ იცვლიდა. ერთხელ რუსუდანმა ველზე თოვლი გულდაგულ გადაქექა და... საფარქვეშ მიმალული, მიწაზე გატოტვილი კესანე იხილა. როგორ გაიხარა! მიწის სიცოცხლე იგრძნო და ეს სიხარული მთელ ბანაკს მოჰფინა.

ღამით ფიქრები აეშალა. მოენატრა კარდენახი, მამისეული კარმიდამო, გზის გამყურე დედა და გამზრდელი მამიდა — როგორ არიან, მამა და ძამიკო, შინ მშვიდობით თუ დაბრუნდნენ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, რუსუდანი სტუდენტი იყო. სტუდენტები დღესა და ღამეს ასწორებდნენ; ფრონტს ექიმთა კადრები სჭირდებოდა. ინსტიტუტი დაამთავრა. სხვა კოლეგებთან ერთად რუსუდანი და მისი მეგობარი ნელი ქავთარაძე უკრაინის მეორე ფრონტზე ექიმებად გაამწესეს. რუსუდანს უფროსი ლეიტენანტის წოდება მისცეს და ჰოსპიტალში ქირურგიული განყოფილების ორდინატორად დანიშნეს. ნელი კი — თერაპევტად. ომის ქარტეხილს ერთად ერკინებოდნენ გოგონები. რუსუდანი მაშინ გამხდარი იყო, კაფანდარა. ნატიფი სახე და ფიქრიანი დიდი თვალები ამშვენებდა. ქირურგის მარდი ხელი, ვაჟკაცური ნებისყოფა ქალურ მომხიბლაობას შერწყმოდა. დაჭრილ ჯარისკაცებს ჯანს უმთელებდა და ისევ ომის გზებზე გზავნიდა.

ბერლინამდე იარა. შემდეგ კი შორეული აღმოსავლეთი. რახანია, ქუჩებში გამარჯვების ზეიმი იდგა. შერლოვის მთებში მყოფს მიწაზე გართხმული კესანეს პაწია ყლორტი ედო ხელის გულზე, სიმბოლო უთქმელი ტკივილისა, მშობლიური მიწის ძახილისა.

ნანატრი დღეც დადგა. რუსუდანმა ქართულ მიწას დაადგა ფეხი. ერთი დღეც არ შეუსვენია. კიროვის რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკაში დაიწყო პედიატრად მუშაობა.

ნიჭიერმა, დაკვირვებულმა ექიმმა სწრაფად გაითქვა სახელი და სულ მალე ბავშვთა კონსულტაციის გამგედ დააწინაურეს.

1951 წლიდან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო განყოფილების პოლიკლინიკის პედიატრად გადაიყვანეს და ამ ხნიდან მოყოლებული შინაგანი სამსახურის ექიმია.

გამჭრიახი, საზრიანი, საქმის მცოდნე, ასე იცნობდნენ მას, და როცა სამინისტროს საავადმყოფოს უფროსი ექიმის შერჩევის საკითხი დადგა, კოლეგებმა რუსუდან ლეკბორაშვილის კანდიდატურა ერთხმად დაასახელეს. ეს იყო 1967 წელს.

მოულოდნელი ქალის ხელმძღვანელობით ორთაჭალაში, გორგასლის ქუჩაზე საავადმყოფოს ახალი შენობა აღიმართა. 1978 წელს, საავადმყოფოს ჰოსპიტლად გადაკეთების შემდეგ რუსუდანი კვლავ მისი ხელმძღვანელია.

1980 წელს რუსუდან ლეკბორაშვილს შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს. რუსუდანი პირველი და ერთადერთი პოლკოვნიკი ქართველი ქალია. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სახელოვანი ქალი რესპუბლიკის დამსახურებული ექიმია. დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა და მრავალი მედლით.

ანა ანტონოვსკაიას ქუჩაზე ცხოვრობს. საღამოს, როცა თბილისი ელექტრონათურების ციმციმში იძირება, ქალიშვილს კარს დედა უღებს. რუსუდანმა საკუთარი ოჯახის შექმნისათვის ვეღარ მოიცალა. ძმისშვილი — მარინე გაზარდა.

იგი დინჯად, აუჩქარებლად საუბრობს. ფურცლავს წარსულს, იმ დღეებს იგონებს, გულს რომ მძლავრად შემორჩენია. — ადამიანის ცხოვრება მხოლოდ მაშინ არის საინტერესო, როდესაც ქვეყანას არგიხარ. არ შემეძლო მრუდე გზით სიარული. ბევრჯერ შემიხედავს სიკვდილისათვის თვალებში, მაგრამ სულით არ დავცემულვარ!

მხნედ გამოიყურება, მეოცნებე, ახალგაზრდული თვალები შემორჩენია. მეკითხებით, რა მომწონს ადამიანში? — ადამიანი, უპირველესად, პიროვნება უნდა იყოს, შემდეგ კი სპეციალისტი.

ჩიტაძის ქუჩაზე შენობის ფასადის ფილაზე წარწერაა: „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო განყოფილების პოლიკლინიკა“. პოლიკლინიკის უფროსის კარს შეაღებთ და დარბაისელი ქალის — რუსუდან ლეკბორაშვილის ჰომლიმარი სახე შემოგხვდებათ. მან მოიპოვა უფლება — იამაყოს თავისი წარსულითაც და აწმყოთიც. მის თვალებში კი კითხულობთ: ხომ არაფერი გიჭირთ, რით დაგეხმაროთ?!

ეთერ ჯაფარიძე



რუსუდან ლეკბორაშვილი ფრონტელ დობილებთან

# მშვენიერების კატეგორია



ნუცა მიქელაძე შვილებთან

იმ დილით ნუცა ჩვეულებრივზე უფრო მეტად კარგ ხასიათზე იყო: კონსერვატორიის მეორე კურსზე გადავიდა და შეაქეს კიდეც. მოსკოვში ჩატარებულ ვოკალისტთა კონფერენციაზე ერთადერთი სტუდენტი წარადგინეს — ისიც პირველკურსელი. წარმატებით გაახმოვანა ფილმი „მდინარის იქით" თავისი სიმღერით. უნივერსიტეტის ფრიადოსანი სტუდენტიც არის. იმ დღეს ძმაც ჩამოუვიდა მოსკოვიდან — არჩილი, სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი. და-ძმა ზაფხულის არდადეგების მხიარულად გატარებას აპირებდა.

უჩვეულოდ ახმიანდა რადიო. მერე პაუზა... ისევ ხმა... ხმა, რომლის გახსენება დღესაც ყველას ჟრუანტელს ჰგვრის: „ომი დაიწყო". მაშინ კონსერვატორიაში სტუდენტთა საშემსრულებლო ბრიგადები ჩამოყალიბდა, რომლებიც დაჭრილ მეომრებს უნდა მომსახურებოდნენ.

სწავლასთან ერთად ჰოსპიტლებში სიარული... პალატებში სახელდახელო სიმღერები დაჭრილთა გასამხნევებლად... სანიტარული მომსახურება... საკაცეზე მწოლარე მებრძოლების პალატებში მოთავსება... და სტუდენტი ნუცა მიქელაძეც ამასთან ერთად კონცერტებშიც მონაწილეობს საოპერო ხელოვნების განთქმულ არტისტებთან — ე. სოხაძესთან, ნ. ცომაიასთან, დ. გამრეკელთან, პ. ამირანაშვილთან, დ. ბადრიძესთან, დ. ანდღულაძესთან, ბ. კრაველიშვილთან ერთად! და მთელი შემოსავალიც თავდაცვის ფონდში ირიცხება.

ჭირდა ცხოვრება. უჭირდა ნუცას ოჯახსაც. კარგად აღზრდილმა ქალიშვილმა იცოდა,



ზ. ფალიაშვილის „დაისი" — მარო



კადრი ფილმიდან „ჯურღაის ფარი". ლეიტენანტი — დ. ბადრიძე, კოლმეურნე გოგონა — ნ. მიქელაძე





[illegible]

რომ მოთმინება და ამტანიანობაა საჭირო სიძნელეების ჟამს. და დილით ლექციები, ხმაზე მუშაობა, კონცერტებში მონაწილეობა, რაიონებში მოგზაურობა, ღამით მორიგეობა ჩაბნელებულ ქუჩებში. კვლავ ჰოსპიტლები, სადაც ამჟამად გამოჩენილი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის თაოსნობით, ახალგაზრდები უყოყმანოდ ასრულებენ საყვარელ სიმღერებს, კლასიკოს- კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. და წარჩინებულ სწავლასთან ერთად, ნუცა მღერის, იშვიათი, ლამაზი ლირიკული სოპრანოთი, რომელსაც გამოჩენილმა მომღერლებმა „კავკასიური იადონის ხმა" უწოდეს. ნუცას ხმით დამტკბარი დაჭრილი ჯარისკაცი მეგობარს თავის აზრს უჩურჩულებს: „უსმინე, უსმინე, რა ღვთაებრივად მღერის, რა დიდებული ქალიშვილია, ნამდვილი სიმღერის დედოფალია".

ნუცა ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც დაიწყო კინო-კონცერტ „ჯურღაის ფარის" გადაღებისათვის მზადება (რეჟისორები დ. რონდელი და ს. დოლიძე). ეს ფილმი ფრონტის წინა ხაზზე უნდა გაგზავნილიყო. ნუცა ამ ფილმში ახალგაზრდა კოლმეურნე გოგონას როლს თამაშობდა. აქვე მღეროდა დ. არაყიშვილის რომანსს — „მე შენ გელი" და დუეტს (დ. ბადრიძესთან ერთად) — „ლერწამი იყავ". იმ დროს ყველა მომღერალი ქალის ოცნება იყო დავით გამრეკელის მომხიბლავი, ხავერდოვანი ტემბრის ხმასთან შერწყმა და, ნუცაც შესთხოვდა ბატონ დიმიტრი არაყიშვილს: „ნუთუ ბარიტონთან არაფერი დუეტი არა გაქვთ, რომ მამღეროთო?" ბატონმა დიმიტრიმ სიფრთხილით შესთავაზა: „თუ შენი პროფესორი შულგინა ნებას დაგრთავს, შეგასწავლი დუეტს ჩემი ოპერა „შოთა რუსთაველიდანო" (აბდულ-არაბისა და რუსუდანის დუეტი). ნუცას სიხარულით აევსო გული: მეორე კურსის სტუდენტი, სახელგანთქმული დავით გამრეკელის გვერდით მდგომი, სიყვარულის გამჟღავნებას მოისმენდა და სიყვარულის სიმღერითვე უპასუხებდა. რაც მთავარია, ხმები ერთმანეთს უნდა დამთხვეოდა. ეს დუეტი დიდ შრომას მოითხოვდა. გულისხმიერი კონცერტმეისტერი ი. გლებოვა, სხვა სასწავლო რეპერტუართან ერთად, ამ დიდ საქმეშიც დაუღალავად ეხმარებოდა და ამეცადინებდა ნიჭიერ სტუდენტს. ასრულდა ნუცას ოცნება: გრიგოლ კილაძის დირიჟორობით ორკესტრი უკრავს ღვთაებრივ ჰანგებს. ნუცას სმენას ესალბუნება თბილი, რბილი, ხავერდოვანი ბარიტონი გამრეკელისა: „ალერსი ჩემი დაგატკბობს"...

ჩაწერა მრავალგზის მიმდინარეობს. რაღა თქმა უნდა, ეს ჩაწერა განსხვავებულია, მეტად დაძაბული, პასუხსაგები და მღელვარებით სავსე. გრიგოლ კილაძე ერთსა და იმავე დროს ნუცასთვის დირიჟორიც არის და კონსერვატორიის რექტორიც. ამიტომ ქალიშვილი გაფაციცებით ადევნებს თვალს დირიჟორის ჯოხს. ნუცა ყოველ ფრაზაზე დავითისაკენ შეტრიალდებოდა ხოლმე და იმ წამსვე გაისმოდა დირიჟორის შენიშვნაც: „ნუ წრიალებ, როგორც დაგაყენე ისე იდექი, არ გაინძრე, მიკროფონს უყურე"; „გაჩერდი ახლა, თორემ ისეა გაცხარებული, მე ვერაფერს გიშველი" — ხუმრობდა დავითიც.

ჩაწერა დამთავრდა. დადგა ყველაზე მღელვარე წუთები. თვითონ კომპოზიტორიც — ბატონი დიმიტრიც მოვიდა სტუდიაში დუეტის მოსასმენად, იმ დუეტისა, რომელიც დღეს ოქროს ფონდშია შესული. დ. არაყიშვილი თავისივე შეთხზულ ღვთაებრივ ჰანგებს თვალებდახუჭული უსმენდა. სიმღერის დამთავრების შემდეგ ხმა არ ამოუღია. ცოტა ხანს დააყოვნა, შემდეგ შეტრიალდა და ნუცას უთხრა: „ნეტავ თუ იცი შენ შენი ფასი!" მერე აღფრთოვანებულმა ცრემლიანი თვალებით დააყოლა: „ჩემი დუეტის უკეთეს შემსრულებელს ვერც წარმოვიდგენდიო". ბატონმა გრიგოლ კილაძემ კი ნასიამოვნები ღიმილით უბრძანა: „აბა ჩქარა, ლექციებზე გაიქეცით". კინოსურათის გადაღება ხანგრძლივ დროს მოითხოვდა. ცივ ამინდში, სურათის მიხედვით, ნუცას თხელი აბრეშუმის კაბა უნდა სცმოდა. ამიტომ, შემდეგ კარგა ხანს იავადმყოფა კიდეც.

ახალი სასიხარულო ცნობა: მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მიმდინარეობს. კონსერვატორიიდან ნუცა მიქელაძე და მასავით ბრწყინვალე მეცო-სოპრანო, სტუდენტი ლეილა გოცირიძე მონაწილეობდნენ. სიმღერამ ადამიანები უნდა აალელვოს და აანთოს. ნუცამ ეს ამოცანა სტუდენტობიდანვე დასძლია. ხოლო მოსკოვის დეკადის ერთ-ერთ კონცერტზე ჩვენი სახელოვანი ირაკლი აბაშიძის პოეტური გამოსვლებით აღფრთოვანებული საზოგადოება შემდეგ ნომრად ნუცას გამოსვლას შეეგება. მომღერალი შტრაუსის ვალსის შუა ნაწილში არპეჯიული სვლით მესამე ოქტავის სი-ბემოლზე ახტა. ამ მოულოდნელობისაგან დარბაზი ფეხზე ადგა და ბოლომდე ასე მოისმინა. ტაშმა რამდენიმე წუთს გასტანა, „რა გააკეთე ნუცა ეს? რა გააკეთე გოგო!" — სიხარულით ეუბნებოდა ირაკლი აბაშიძე.

თბილისში დაბრუნებულთ ახალი სიხარული ელოდათ. ეკრანზე გამოვიდა ფილმ-კონცერტი „ჯურღაის ფარი". ფილმს დიდი წარმატება ხვდა — ყველა შემსრულებელი სახელმწიფო პრემიაზე წარადგინეს, ოღონდ... ნუცას არ შეხვდა ჯილდო. სტუდენტი იყო და უმაღლესი ჯილდო ალბათ გადაჭარბებულად ეჩვენათ...

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1951-61 წლებში, ნუცა მიქელაძე, ჩვენი ოპერის სოლისტია და წარმატებით მღერის მთავარ პარტიებს „იოლანტაში", „მეფის საცოლეში", „რიგოლეტოში", „ბაში-აჩუკში", „დარეჯან ცბიერში", „მარინეში", „ლაკმეში".

ნუცა (ნინო) მიქელაძე საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ახლახან წავიდა ჩვენგან, წავიდა უდროოდ. სიცოცხლის ბოლო წლებამდე ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას. მისი უფროსი ვაჟი რამაზ გიორგობიანი პოპულარული და საყვარელი კინომსახიობია, ხოლო მაიკო გაჩეჩილაძე — ახალგაზრდა რეჟისორი, რომლის მიზანია გაჰყვეს მამის, პროფესორ გივი გაჩეჩილაძის კვალს და შექმნას საოპერო სპექტაკლები.

დამანა მდივნიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაბეღლავი

გურული კრიმანჭულივით მიხვეულ-მოხვეული გზა ბახმაროსაკენ მიუყვება გუბაზეულის ხეობას. ერთმანეთზე თითქოს საგანგებოდ მიჯრით განლაგებულა წალკოტად ქცეული კეთილმოწყობილი თანამედროვე სოფლები: გუთური, ჩაისუბანი, ინტაბუეთი, ხიდისთავი, ბჟოლიეთი, ხევი, ბუქსიეთი, თავპანტა, ნაბეღლავი. სანამ ბახმაროს ამ ციცაბოდდაკიდებულ გზას აათავებდეთ, კიდევ შეგხვდებათ რამდენიმე მთის სოფელი, მაგრამ ამჯერად სოფელი ნაბეღლავი გვინდა გაგაცნოთ, მის საქვეყნოდ განთქმული მინერალური წყლის თვისებაზე გვინდა გესაუბროთ, რომლის სამკურნალო ღირებულებას კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ჩამომსხმელი ქარხანა მწყობრში 1963 წელს ჩადგა, თავდაპირველად კუსტარული ყოფილა და უბრალოდ მჟავე წყალი ერქვა. იმავე ტერიტორიაზე ხის როფებში პრიმიტიული წესით აბაზანებსაც იკეთებდნენ რევმატიული ტკივილებით შეპყრობილი ადამიანები. მოდიოდნენ ახლომახლო სოფლებიდან, მეზობელი რაიონებიდან...

წყლისათვის თავდაპირველად მწყემსებს მიუკვლევიათ, გვარად კვაჭანტირაძეები ყოფილან, საქონელს მომჟავო წყლისთვის პირი რომ არ დაუკარებია, შეფიქრიანებულან, თვითონ გაუსინჯავთ გემო, შვება უგრძვნიათ, უგაზო, ბუნებრივიც კი სასმელად სასიამოვნო გამომდგარა.

რაიონის მაშინდელ პარტიულ ხელმძღვანელობას სინჯების ასაღებად და საგულდაგულოდ შესამოწმებლად სპეციალისტები მიუწვევია დედაქალაქიდან. ასე დადგინდა თავდაპირველად მინერალური წყლის ყველა სამკურნალო თვისება.

ახლა აქ ზამთარ-ზაფხულ მოქმედებს 250-ადგილიანი სანატორიუმი „ნაბეღლავი", ხოლო არდადეგების პერიოდში — დედათა და ბავშვთა პანსიონატიც უღებს კარს დამსვენებლებს.

ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი სამკურნალო წყალი „ნაბეღლავი", თავისი საუკეთესო თვისებების გამო, სუფრის დამამშვენებელიც არის, ბორჯომის ტიპისაა და ყველა სამკურნალო თვისებებით მას უახლოვდება. საჭმლის მომნელებელი ორგანოების, ღვიძლის, ნაღვლისა და შარდის სადინარების დაავადებათა, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მოშლილობის სამკურნალოდ გამოიყენება. აქ ერთ-ერთი საუკეთესო ბალნეოლოგიური კურორტიც არის გაშენებული.

კურორტი ჩოხატაურ-ბახმაროს საავტომობილო გზის მახლობლად მდებარეობს და რაიონული ცენტრიდან ოცდაორი კილომეტრით არის დაშორებული, ზღვის დონიდან მისი სიმაღლე 470 მეტრს აღწევს. დამსვენებლებზე სასარგებლოდ მოქმედებს ზღვისა და მთის შეზავებული ჰავა.

60-მეტრიანი ჭაბურღილიდან დღე-ღამეში 40-50 ათასი ლიტრი მინერალური წყალი ამოსჩქეფს და ყოველწლიურად 12 მილიონამდე ლიტრის ჩამოსხმა ხდება. მოქმედი ჭაბურღილის დებეტი არ შეიმჩნევა. სპეციალისტებმა მთელი ამ ვეებერთელა ტერიტორიის შესწავლის შედეგად დაადგინეს, რომ აქაურობა აურაცხელი რაოდენობის მინერალური წყლით არის გაჯერებული.

„ნაბეღლავი" პოპულარულია მოსკოვში, კიშინიოვში, ვოლგოგრადში, ჩაპაევსკში, კიროვობადში, როსტოვში, მას სიამოვნებით მიირთმევენ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში.



დალი დოლიძე და ლალა მგელაძე

ი. შაქარიშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასმათ კოროშინაძე და ციური მეფარიშვილი

* * *

აგრეგატზე ჩამწკრივებული ბოთლები სხვადასხვა ტემპერატურის წყლით საგულდაგულოდ ირეცხება, კონვეიერით გადადის სატურატორზე, იქ რამდენიმე მეტრით დაშორებული ჭაბურღილიდან სპეციალური მილით შემოყვანილი ბუნებრივი წყალი ჩამომსხმელი აგრეგატით სათითაოდ ისხმება ბოთლებში, მხუფავი აგრეგატი ხუფავს, შემდეგ ერთრიგად ჩამწკრივებული ტრანსპორტიორით ეტიკეტის დამკვრელისაკენ მიემართება, აქედან სპეციალური ტრანსპორტიორი მათ ყუთებში ჩამწყობს აწვდის.

ლერი კვაჭანტირაძე, სპეციალობით ტექნოლოგი მეექვსე წელია უნარიანად ხელმძღვანელობს ქარხანას, იგი საქმის დიდი სიყვარულით გვაცნობს ქარხნის სამომავლო გეგმებს, გვესაუბრება სიახლეების დანერგვის შესახებ. ლერი ყველა შესაძლებლობას იყენებს, რომ ქარხნის პროდუქცია მართლაცდა მოსაწონი იყოს.

ქარხნის მიღწევები ბევრად არის დამოკიდებული წარმოების ხელმძღვანელზე — ლალა მგელაძეზე. ქარხანა ურეკლამაციოდ რომ მუშაობს, ამაში დიდია ლალას წვლილიც.

ქარხნის ერთადერთ ჩამომსხმელ საამქროს სოფლის მკვიდრი, ინჟინერტექნოლოგი დალი დოლიძე ხელმძღვანელობს. მის საამქროში დასაქმებულ ასამდე მუშას შორის ახალგაზრდები სჭარბობენ, საშუალო სკოლიდან მოსული აქაურ ბუნებასავით ლამაზი გოგო-ბიჭები. მათთან დიდი მეგობრობა აკავშირებს პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს დალი დოლიძეს. დალისგან ისინი კარგ მაგალითს იღებენ. იციან, რომ კარგი სტუდენტი იყო, რომ უყვარს ხელოვნება და პოეზია, რომ თავისი სოფლის უზომოდ მოტრფიალე ქალიშვილმა სპეციალისტის დიპლომით, ისევე ნაბედლავს მოაშურა. მის დაწინაურებას დიდად შეუწყო ხელი პარტიის მაშინდელი რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა თამაზ იმედაძემ. დალიმ გაამართლა ნდობა, დაძლია სიძნელეები, მიაღწია საამქროს მაღალმწარმოებლურობას.

— უამათოდ მე ვერაფერს შევძლებდი, — ამბობს დალი და მოწინავეებს ასახელებს — ნინა რუხლიადოვას, ციური მეფარიშვილს, მადონა კარაიას, გულნარა ქორიძეს, ასმათ კოროშინაძეს, ჩამომსხმელი ხაზის ზეინკალს ვლადიმერ კვაჭანტირაძეს. ისინი მისი თავდაუზოგავი თანამოსაქმეები არიან და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

კაცი კაცითაო. და მართლაც, საქმე წინ მიდის, როცა კოლექტივი შეხმატკბილებულია.

**ნანული ბუკია**

## ჩვენი მკითხველების შემოქმედება

### ჩემო ერთადერთო

ოცნებების ნაზი ჩადრი,
ზღვის სილურჯედ მენთო,
ჩავიხედე, შენ მოჩანდი
ჩემო ერთადერთო.

ზღვამ ამწია, დამარწია,
ავყევ ტალღის ფერდობს,
აჰა, უკვე დაგეწიე
ჩემო ერთადერთო!

### თბილისს

არ უკვირს მხარეს ჩემსას გმირობა,
აქ მომავალიც მხოლოდ ღიმილს შობს,
შენ ხოხბის სისხლი შეგრჩა მირონად
ვერ წაქცეულო, ჩემო თბილისო!

დღეს შენი სუნთქვა ცხრა ძმის ფიცია,
შენი ეშხია ფერი ველების,
და თუ მე ვიცი, სხვებმაც იციან
რომ ძარღვში გიჩქეფს არაგველები!

სევარიონ ნადირაძე,
თბილისი. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.

### ხევსურული სატრფიალო

თმას რომ ყოილნი მიმკობენ, —
ცის მნათობთ დავაბნევინე;
თოლ რო უბრწყინავთ ნამისგან, —
ზეცას ცრემლ დავაფრქვევინე.

ყოილნი მზისებრ ლამაზნი
სათუთად მიმიბნევია,
შენი უწყალო ტრფიალის
სიმბოლოდ მიმიჩნევია.

თავს დაბლა დავხრი მორცხვადა,
მაღლა ნუ ამაწევინებ,
შენი ტრფიალი ხელთ მიპყრავს,
მუჭას ნუ გამაშლევინებ!

...ფერფლად ვქცეულვარ ქალაი,
სიყვარულ მტანჯავს მარადა,
შენი ტრფიალით დამწვარ ვარ,
არ გებრალები მა, რადა?!

როდამ თევდორაშვილი,
ფილოლოგი.

მარიკა ბარათაშვილი

# იქნებ ვინმეს გამოადგეს?



მხატვარი ლალი ზამბახიძე

დილით დამირეკა. შემეკითხა, როდის შევძლებდით მის მიღებას. ხმაზე ეტყობოდა, თავს ცუდად გრძნობდა, არადა ჩემი ნახვა ეჩქარებოდა. რაღაც ისეთი ვიგრძენი მის ხმაში, ისეთი სასოწარკვეთა, რომ...

ჩანდა, ავადმყოფს წამოდგომა უჭირდა და კარი საგანგებოდ ღიად დაეტოვებინა. ასე, სამოცდაათამდე წლისა იქნებოდა. ავადმყოფობასა და მარტოობასთან ჭიდილში დაღლილი, გაფითრებული იწვა.

ჩემს სტუმრობას ნამდვილად არ ელოდა. შეშფოთდა. ორმაგი გრძნობა თუ დაეუფლა წუხილნარევი სიხარულისა.

— რა გაწუხებთ, რა გტკივათ — შევეკითხე.

— ეჰ,მე რომ მაწუხებს...

— სრულიად არავინა გყავთ?

— მყავს და არცა მყავს.

— მაინც?

— დიდი მოსაყოლი ამბავია — ცხოვრებაში გამოვლილი დღეების დიდი გორგალი. თქვენც ხედავთ, ხელს არავინ მიშლის და ფიქრებში დაუსრულებლად ვარღვევ და ვახვევ ამ გორგალს. ზოგჯერ ძაფი მებურდება... და ბოლოს გორგალიც ისე დამძიმდა, რომ გამიჭირდა და აგერ...

კვლავ მობოდიშება აღარ დავაცალე — თუ რაიმეთი გიშველით...

— თქვენს ჟურნალში ისეთი ამბებიც გვხვდება, რომ ქალი არა ვარ, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ მეც ეს მძიმე ტვირთი შევიმსუბუქო — ჩემი თავგადასავლის ავ-კარგში გავერკვე და სხვასაც რაიმეთი ვარგო მეთქი.

გვერდით ოთახში ბავშვის ტირილი და ქალის ისეთი ისტერიული შეკივლება გაისმა, რომ სკამიდან წამოვიწიე.

— არაფერია, გაუვლის. მაგ საწყალმა ქმარი გააქცია ოჯახიდან. უქნარა იყო, არც ცოლს არგოდა რამედ და არც შვილს. სამუშაოზე ფეხი ვერ მოიკიდა, მთელი დღეობით ეზოში იჯდა და დომინოს არახუნებდა, ცოლს კი ყველაფერი რომ მზამზარეულად არ მიერთმია, შავ დღეს აყრიდა. ჰოდა, ქალმაც ითმინა, ითმინა, და... წინათ იქნებ მაინც ქალი გამემტყუნებინა, მაგრამ... ერთი სიტყვით, ხანდახან, აი, ასე, კაცმა არ იცის, თავის ბედს აუკივლდება თუ იმ ოხერ, გაქცეულ ქმარს. ბავშვია ცოდო. ჰო, ჩემი ბედის გორგალზე მოგახსენებდით. მის წვერს რომ მივწვდები, თითქოს თავიდან ცუდად როდი ახვეულა... ან იქნებ სწორედ იმ დასაწყისშია მოსაძევი რაიმე შეცდომა? მოგეხსენებათ, სხვისი თვალი უკეთ ამჩნევს.

მშობლებს ორნი ვყავდით, ქალ-ვაჟი. ცივ ნიავს არ გვაკარებდნენ. ეს — დედაჩემი, თორემ მამა, — მამაც ჩვენსავით ჰყავდა მეუღლეს განებივრებული — ოჯახურ საქმიანობაში მამაკაცის ჩარევა მისი ღირსების შელახვად მიაჩნდა. მეც, „ვაჟკაცს" არათუ დედის მიხმარება, საკუთარი ლოგინის გასწორება, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის მოწესრიგება და კარადიდან საუზმის გამოღებაც კი არ მევალებოდა. არც ქალიშვილს აკეთებინებდა რამეს: რომ გათხოვდები, შრომა და წვალება მაშინაც გეყოფაო. (სწორედ ამიტომაც შეექმნა, ალბათ, ვაიუბედურება და დაენგრა ჩემს დას ოჯახი — ქმარი საყვედურობდა, თუ საქალო საქმის არაფერი გაგეგებოდა, რას თხოვდებოდიო). ასე რომ, დღე და ღამ მოფუსფუსე დედას თითქმის ვერც ვამჩნევდით, ვერ ვხედავდით, რომ სამსახურიდან დაბრუნებულს, შინ მეორე სამუშაო დღე უნდა გადაელახა. არც მახსოვს, ოდესმე დაეჩივლოს და ჩვენც, ალბათ, ამიტომ მიგვაჩნდა ყოვლისშემძლედ. მხოლოდ ბოლო ხანს უჩიოდა უღონობას და უეცრად, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამოგვეცალა ხელიდან.

მოგეხსენებათ, მშობელია მომავალი მეუღლის იდეალი. და რა ბედნიერად ვიგრძენი თავი, როდესაც ბედმა სწორედ დედაჩემის თარგზე აჭრილი ქალი მარგუნა ცოლად. დილით, თვალს რომ გავახელდი, სკამის საზურგეზე გადაკიდებული, გაწმენდილ-გატკიცინებული ტანსაცმელი, საწოლთან გაპრიალებული ფეხსაცმელი და მაგიდაზე ცხელი საუზმე მელოდებოდა. ამრიგად, პირველ ხანებშივე ყველაფერი ჩემი მშობლიური ოჯახის ცხოვრების კვალზე აეწყო. ლილის ვუყვარდი, ძალზე ვუყვარდი, ჩემი სურვილების ამოცნობის საოცარი უნარი ჰქონდა და მეც კმაყოფილი ვიყავი და ბედნიერი, გალაღებული და განებივრებული და მაშინ ეს სრულიად ბუნებრივად მიმაჩნდა.

ჩვენს მახლობლად ახალგაზრდა ოჯახი ცხოვრობდა. ვხედავდი, როგორ მოათრევდა ბაზრიდან სავსე ბადურებს რეზო — ოჯახის მამა, ასეირნებდა ბავშვებს, აპრიალებდა იატაკს. ჩემი ცოლი მას „ქალაჩუნას" ეძახდა და აღშფოთებით ამბობდა, ვერ ვიტან ასეთ მამაკაცებსო.

ასე იყო, ვიდრე ბავშვი გაჩნდებოდა. მერეც, პირველ ხანებში ჩემი მეუღლე ჩვეულებრივი ენერგიით უძღვებოდა ოჯახს. ზრდიდა პატარას და არც მე მაკლებდა ყურადღებას, მაგრამ დაუმთავრდა დეკრეტული შვებულება და დაიწყო: სამსახური, დაუსწრებელი პედინსტიტუტი, ბაგა-ბაღი, ოჯახი... მე ჩემებურად განვაგრძობდი ცხოვრებას, მხოლოდ ვამჩნევდი, როგორ კლებულობდა მისი ჩემდამი ყურადღება. ყოველთვის აღარც ჩემი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი იყო წესრიგში, ვეღარც მისებური გემრიელად გამზადებული საუზმე-სადილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს „უყურადღებობა“ მაღიზიანებდა. პირველად, გაუწმენდავ ფეხსაცმელზე ავბუზღუნდი, სამსახურში ასე როგორ წავიდე-მეთქი. უსიტყვოდ გაიტანა, გაწმინდა და შემოარბენინა. მეორედ და მესამედ პერანგის საყელო არ მომეწონა — უთოს ნაკეცები აჩნდა და საუთოოზე მივუგდე, ბოლოს, საუზმეც რომ აღარ დამხვდა გაწყობილი, მოთმინების ფიალა რომ ამევსო, ავფეთქდი. აფეთქება აგრე არ უნდაო და... თურმე რა წყენა ჰქონია გულში ჩაკეცილი! წამომაკეცა და წამომაკეცა: რომ მე არც ცოლი მყვარებია, არც შვილი, რომ უგულო ვყოფილვარ, ეგოისტი, უქნარა, რომ საკუთარი თავის მოვლასაც ვთაკილობ და რა აღარ!

შევყევით ერთმანეთს, შემოვყევით, გამშველებელიც არავინ იყო, მოგეხსენებათ, გაბრაზებული ადამიანი განსჯის უნარსაც ჰკარგავს...

ამას წინათ ერთი მეცნიერის წერილი წავიკითხე: თურმე ერთ ქალაქში ჩატარებულ სტატისტიკურ გამოკვლევებს უჩვენებია, რომ განქორწინება ახლა მეტწილად ქალის ინიციატივით ხდება. მაგრამ აკეთებს თუ არა ყველაფერს ქალი იმისათვის, რომ ოჯახი დანგრევამდე არ მიიყვანოს? — ამაზე ცოტას წერენ. ვის სჭირდება ქალის ასეთი „გმირული თავგანწირვა?“ ადამიანს ხომ განუსაზღვრელი ძალა არ გააჩნია და რომელ ქმარსა და შვილს ესიამოვნება გაწიწმატებული, პირდაუბანელი, თმაგაწეწილი, ქობაჩამორღვეული დედისა და ცოლის ყურება? ჭკვიანი ქალი იმ ტვირთს თავიდანვე გადაანაწილებს და დიდ-პატარას მათს შესაფერს დააკისრებს.

რატომ მარიდებდა დედაჩემი ჩემს წილ შრომას, რად არ მამზადებდნენ მშობლები ჩემი მომავალი ოჯახის გასაძღოლად? ან მაშინ, თაფლობის თვეებში, როდესაც ახალშერთული ცოლის სასიამოვნოდ და დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებდი, რატომ არ გამიზიარა საოჯახო საზრუნავი? იქნებ, პირველ ხანებში გამჭირვებოდა, მაგრამ ოჯახი ხომ მეუღლეებისათვის ის სკოლაა, სადაც ერთმანეთის შებრალებას, პატივისცემასა და თანადგომას სწავლობენ! რაღა გავაგრძელო და ის ბზარი თანდათან ღრმავდებოდა და ბოლოს უფსკრულად იქცა. ჩვენი ოროთახიანი ბინა მას დავუტოვე...

აღარც მე შემირთავს ცოლი, არც ის გათხოვილა, მაგრამ მოგებაში მაინც ის დარჩა. ახლა შვილი ჰყავს, რძალი, შვილიშვილი.

ლილი ამაყი იყო და ალიმენტი არ მთხოვა. მეც, ეტყობა, ჯერ ბავშვის შეყვარებაც ვერ მომესწრო — მოგეხსენებათ, მშობლიური სიყვარულიც შვილზე ზრუნვაში, მის აღზრდასთან დაკავშირებული სიძნელეების გადალახვაში ღვივდება. მე კი ჩემი პატარასათვის ერთი ღამეც არ გამიტეხია...

ჩვენი განქორწინების შემდეგ, რომ მოვითხოვე და ბავშვი ვინახულე, ზედაც არ შემომხედა და, დედა მინდაო, ატირდა. მეორედაც ასე, და მეც მეტად აღარ მივძალებივარ.

თავის მოვლას როგორც იყო ვახერხებდი — ახალგაზრდა ვიყავი და მოსაწყენად ვინ მომაცლიდა, მაგრამ გავიდა დრო, მუშაობასაც თავი დავანებე, ტოლ-მეგობრებიც ნელ-ნელა შემომეცალა, თან სიბერემ და ავადმყოფობამაც დამრია ხელი. ყველაზე მეტად მაინც მარტოობა გამიჭირდა და ერთადერთი ნატვრა ესა მაქვს: ისე მოვკვდე, ლოგინად არ ჩავვარდე, თორემ წამლისა და წყლის მომწოდებელიც არავინ მეყოლება — მეზობლებს როდემდე შევაწუხებ.

სამამ სიარული შემეძლო, ხანდახან იმ ჩვენი სახლის გვერდით სკვერში შევიპარებოდი და ხეებს უკან მივიმალებოდი ხოლმე, რომ ჩემი ყოფილი შინაურებისათვის შორიდან მაინც მომეკრა თვალი. ერთი-ორჯერ ლილი დავინახე, ძალზე მოტეხილი და ჯანღონე გამოცლილი მეჩვენა. სავსე ბადურებს გაჭირვებით მიათრევდა. არ ვიცი, ეს შემთხვევითი იყო, თუ ჩვენი ოჯახური ტრაგედიიდან დასკვნა ვერ გამოეტანა და ვაჟიშვილიც იმ დაუწერელი, მაგრამ ზოგიერთი ქალის ძვალსა და რბილში გამჯდარი „კანონის“ მიხედვით აღეზარდა.

ამას წინათ ჩემს სათვალთვალო პუნქტთან რომ მივედი, ჩვენს ძველ მეზობელს, რეზოს წავაწყდი. თავის ცოლთან ერთად სკამძელზე ჩამომჯდარი, იქვე თამაშში გართულ შვილიშვილებს რომ დაჰხაროდა. შემშურდა, ნამდვილად შემშურდა.

იმ დღიდან იქით აღარ გამივლია, თუმცა ყოფილი ჩემიანების ერთი თვალის მოკვრა ჩემთვის უდიდესი ტანჯვაც არის და ერთადერთი სიხარულიც. ჩემი ბოლმით ამ ჩემს ოთახში შემოვიკეტე — ძალაც აღარ მყოფნის. ვწევარ ასე მარტოდმარტო, საკუთარ თავთან დარჩენილი, ვარღვევ და ვახვევ ჩემი ცხოვრების განვლილი დღეების გორგალს.

და როცა ეს ტვირთი საოცრად დამძიმდა, გადავწყვიტე ვინმესთვის გამეზიარებინა, ეგებ გამოადგეს გაკვეთილად...

იმირა მამედოვი

# ქართველ გოგონას

სულ ექვსი გრძნობა მქონდა მის მიმართ,
შენ გადასწიე მეშვიდე ფარდა;
ცეცხლს რად მიმეცი?! ხომ იცი, წინათ
მე საქართველო ისეც მიყვარდა.

ვიცი ამ ბანგით კაცს როგორც კლავენ...
მე ჩემი დარდიც მყოფნიდა დარდად;
სულის ცა რაღად ამივარსკვლავე?!
მე საქართველო ისეც მიყვარდა.

ვმღეროდი ბაათს, ხან კიდევ ლილეს,
ყველა სიმღერით ვმღეროდი მართალს.
მთა ეგზომ რაღად ამიყვავილე?!
მე საქართველო ისეც მიყვარდა.

კარგად მათბობდა ეს მზე და მთვარე
და გულს მიღნობდა ღიმილი ქალთა,
ხანძარი რაღად ამიელვარე?!
მე საქართველო ისეც მიყვარდა.

მოვვლე დუნიის გზა კიდით-კიდე,
წლები სიბრძნისას მიბერტყდნენ კალთას,
მდინარე რაღად ამიწყალდიდე?!
მე საქართველო ისეც მიყვარდა.

ვით ჩემს თავს—ვცნობდი ივერთა მხარეს,
ყველა მენახა, შენ ერთის გარდა.
თავი გიჟივით რად შემაყვარე?!
მე საქართველო ისეც მიყვარდა.

დღეს საქართველოს ლექსივით ერთვი,
გულშიც ერთ ლექსად უნდა ამენთო,
აღარ არსებობთ ცალ-ცალკე ჩემთვის,
როგორც ცა და მზე უერთმანეთოთ.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# არის ასეთი კაბინეტი

ყველა მშობელს აწუხებს ოჯახურ (და არა მარტო ოჯახურ) პრობლემათა შორის ყველაზე მთავარი პრობლემა — შვილების, მომავალი თაობის აღზრდა. ყველას სურს კონკრეტული დახმარება, ერთგვარი რეცეპტის გამოწერა.

და, მოგვმართავენ მშობლები — დედები და მამები, ახალგაზრდები და ხანშიშესულები, ზოგჯერ ბებიები და პაპები, ახალბედა მასწავლებლები და აღმზრდელები რჩევისა და დახმარებისათვის. უმეტესობა პირადად მოდის, ასე უფრო ადვილია გაუგო ადამიანს, ცოცხალი კონტაქტი მაინც სულ სხვაა. აქ, სპეციალისტები — პედაგოგები, ფსიქოლოგები მათ გულმოდგინედ დასაბუთებულ განმარტებებს აძლევენ, უანალიზებენ, უხსნიან, სად არის დაშვებული შეცდომა, შემდეგში, როგორი ურთიერთობის დამყარებაა საჭირო შვილთან, მის მეგობართან, თანაკლასელთან.

ამის შემდეგ უმეტესობა რწმენააღდგენილი, შექმნილ სიტუაციაში გარკვეული, შედარებით დამშვიდებული, დაწყნარებული ბრუნდება შინ და, რაც მთავარია, იცის, როგორ იმოქმედოს მომავალში.

რჩევა-დარიგებას ზოგჯერ წერილობითაც გვთხოვენ, ზოგიც ტელეფონით გვიკავშირდება (99-88-90; 99-55-09).

ჯერჯერობით ასეთია თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის აღზრდის განყოფილებასთან ახლახან შექმნილ მშობელთა პედაგოგიზაციის კაბინეტის მომსახურების ფორმები.

მომავალი თაობის აღზრდა ძირითადი რგოლია საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ჯაჭვში. „კაცობრიობის მომავალი დამოკიდებულია მთლიანად მოზარდი თაობის აღზრდაზე“, — წერდა კარლ მარქსი. ა. მაკარენკო კი ასე მიმართავდა მშობლებს: „... ჩვენი ბავშვები ჩვენი სიბერეა: სწორი აღზრდა ჩვენი ბედნიერი სიბერეა, ცუდი აღზრდა კი — ჩვენი მომავალი უბედურება, ჩვენი — ცრემლები, ჩვენი დანაშაული სხვა ადამიანთა წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე“.

ბევრნაირია მშობელი. ზოგი ნაკლებად გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარი შვილის აღზრდაში. ზოგს პედაგოგიური ალღო აკლია, ზოგმა საერთო ენა ვერ გამონახა შვილთან მაშინ, როცა იგი მოზარდობის, გარდატეხის ასაკში იმყოფებოდა, ზოგს იმიტომ უჭირს, რომ უბრალოდ, მართლაც ძლიერ დაკავებულია და შვილის აღზრდას საკმაო დროს ვერ უთმობს... ძნელია ყველას გაჭირვება ჩამოთვალო, მაგრამ ყველაფერს ეშველება, თუ „გული გულობს“. მთავარია, მშობელი სწორად მიუდგეს შვილის ყველა სატკივარს, გაარკვიოს მისი მიზეზები, ეცადოს მათ აღმოფხვრას. მაგრამ რა ვუყოთ იმ მშობლებს, რომლებიც ცდილობენ აღზრდის მთელი პასუხისმგებლობა სხვას გადააბარონ — სკოლას, საზოგადოებრიობას. რა თქმა უნდა, ასეთ მშობელს შესუსტებული აქვს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამიტომ უპირველესად, აუცილებელია მათში გაიღვიძოს მშობლის ღირსებისა და მოვალეობის შეგნებამ. აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის საზოგადოებას, საწარმო-დაწესებულებას, იმ შრომით კოლექტივს, სადაც იგი მუშაობს. ამასთან, ასეთ მშობლებზე საჭიროა არა პერიოდული, არამედ მუდმივი, ხანგრძლივი, სისტემატური ზემოქმედება.

ბუნებრივია, ყველა მშობელს სურს, რომ კარგი შვილი ჰყავდეს, მაგრამ როგორ, ყველამ არ იცის.

— „ჩვენს ოჯახში არაფერი საინტერესო არ ხდება... ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს... მშობლებისაგან მე არაფერი მისწავლია...“. — „მშობლებმა ჭამის ჩვევა გამომიმუშავეს, მეტი არაფერი“... — ასეთი ჩანაწერები გააკეთეს თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებმა გამოკითხვის ჩატარებისას. როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია. ადამიანმა სხვა რომ აღზარდოს, თვითონ უნდა იყოს აღზრდილი, აღზრდაში კი წვრილმანები არ არსებობს. ამიტომ მშობელთა და, საერთოდ, მოსახლეობის პედაგოგიური განათლების დონის ამაღლება ერთ-ერთი მთავარი პირობაა იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას მომავალი თაობის აღზრდის საკითხები. გამოსავალი ერთია — მშობელთა ჩაბმა საყოველთაო პედაგოგიურ სწავლებაში, ყველამ უნდა ისწავლოს აღზრდა.

„სახელმწიფო იმდენად ითვლება კულტურულ სახელმწიფოდ, რამდენადაც ის ღრმად პედაგოგიურია“, 1918 წელს წარმოთქმული ა. ლუნაჩარსკის ეს სიტყვები ყველა დროის ყველა სახელმწიფოს ესადაგება.

ჩვენს რესპუბლიკაში ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოჯახებთან, მშობლებთან მუშაობას, მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. ამ მიმართულებით მუშაობის ნაცად ფორმებს ორიოდე წლის წინ მიემატა ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონებში ცდის წესით შექმნილი მშობელთა საზოგადოებები, რომელთა საქმიანობამ მოწონება დაიმსახურა. ამჟამად ასეთი საზოგადოებები ჩამოყალიბებულია დედაქალაქის სხვა რაიონებსა და რესპუბლიკის მრავალ ქალაქში, რომლებმაც, როგორც ამხ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, „დაამტკიცეს მოქალაქეობის უფლება“. ახლა მშობელთა ამ საზოგადოებების მუშაობას მხარში ამოუდგა ჩვენი მშობელთა პედაგოგიზაციის კაბინეტი, რომელიც იმის გარდა, რაც ზემოთ ითქვა, მოწოდებულია, მეცნიერულად გააანალიზოს და განაზოგადოს რესპუბლიკაში მშობელთა საზოგადოებების საქმიანობა. კაბინეტის მთავარი მიზანი კი მაინც მშობლებთან ინდივიდუალური მუშაობაა, რათა დაეხმაროს მათ, აპოვნინოს სწორი გზა და მეთოდი შვილის აღზრდის მეტად ძნელ, საპატიო საქმეში.

ძვირფასო მშობლებო! თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩის პირველ ნომერში, ყოველ სამშაბათს, 17-დან 20 საათამდე გელოდებიან ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, გამოცდილი სპეციალისტები ინსტიტუტის დირექტორის, ცნობილი მეცნიერის, პროფესორ შალვა ამონაშვილის ხელმძღვანელობით. თქვენ აქ მიიღებთ კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას ბავშვის ფსიქოლოგიის, ოჯახში აღზრდის, შვილებთან ურთიერთობის საკითხებზე.

გამოიყენეთ ჩვენი სამსახური.

**ᲘᲓᲘᲚᲘᲐ ᲓᲝᲚᲝᲜᲐᲫᲔ,**
**მშობელთა პედაგოგიზაციის კაბინეტის გამგე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ვიბრძოლოთ გამარჯვებამდე“

ძველებური სატვირთო „ფორდის“ ძრავის ერთფეროვანი გუგუნი მგზავრებს ნანინასავით ჩაესმოდათ. სიცხისაგან მოთენთილებს თვალები ეხუჭებოდათ. ანა მარიამ მაგრად მიიკრა მკერდზე თავისი ცხრა თვის ბავშვი და მოხერხებულად მოკალათდა დააჯდომად გადებულ ფიცარზე. ძილი ერეოდა. მაგრამ თავს ძალას ატანდა და თვალს მაინც ახელდა, თავისი საყვარელი პირმშოს ცქერით რომ დამტკბარიყო. ქალს ის დღეები აგონდებოდა, მეზობლები რომ სძრახავდნენ გათხოვების გამო, და ეღიმებოდა. ქმარი კარგი გამოადგა — მისი ლორენსო ლამაზი ვაჟკაციც არის, კარგი მეოჯახეც და ცოლშვილის მოყვარულიც. ო, რა გულთბილად გამოემშვიდობა ცოლშვილს, თუმცა კი იცოდა, რომ ისინი მხოლოდ ორიოდე დღით შორდებოდნენ!

„ფორდმა“ აღმართს სძლია და შურდულივით გავარდა სწორ გზაზე. ანა მარიამ თავი ასწია, რათა ფანჯრიდან გზისთვის ეცქირა. და სწორედ იმ წუთას ტყვიის ღვართქაფმა სულ დაფშვნა ძარის გვერდები, ნაფლეთებად აქცია ბრეზენტი... ბავშვმა დაიკივლა. ხალხი აირ-დაირია, მანქანიდან გადახტომას ლამობდნენ. სისხლმა შეღება იქაურობა. მძიმედ დაჭრილი ანა მარია გადმოხტა მანქანიდან, ბავშვს მკერდით აეფარა. გოგონა ტიროდა და გასისხლიანებულ ჩვრებს პაწაწინა ხელებში იბღუჯავდა. დედას კვლავ მოხვდა ტყვია. მან ღონეგამოცლილი ხელებით შეიხსნა საყელო და ბავშვი გულში ჩაიკრა. ასეთ მდგომარეობაში მყოფნი ნახა ისინი ლორენსომ. მას გული გაუპო საშინელმა განცდამ. ანა მარიას სხეულმა გაციება იწყო, მაგრამ მის მკვდარ ხელებს მაგრად ეჭირა ატირებული გოგონა.

ეს ტრაგედია ელ-სედროსა და სან-ხოსე-დე-ბოკაის გზატკეცილზე დატრიალდა, სადაც ვაშინგტონის მიერ შეიარაღებული და დაფინანსებული სომოსელი ავაზაკები სასტიკად გაუსწორდნენ უიარაღო გლეხებს. ახალგაზრდა დედა, რომელიც თავისი სხეულით იფარავდა შვილს, ახალი ნიკარაგუის გმირობისა და შეუპოვრობის სიმბოლოდ იქცა.

ნიკარაგუელ ქალთა ასოციაცია დღეს აქტიურად მონაწილეობს მთავრობის მიერ განხორციელებული პროგრესული გარდაქმნებისათვის ბრძოლაში. ის მას სოციალ-ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციაშიც ეხმარება და ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვისაც იბრძვის. მძიმე ბრძოლებში, ახალგაზრდა რესპუბლიკა იმპერიალიზმისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ რომ ეწევა, ახალი ნიკარაგუელი გმირი ქალები იბადებიან.

მარია როდრიგესი წარმოშობით სანრაფაელ-დელ-ნორტედან არის. ეს პატარა ქალაქი ჰინოტეგის დეპარტამენტში მდებარეობს, რომლის მთიან რაიონებშიც? მონდურასიდან ამერიკელების მიერ გადასროლილი სომოსელები დათარეშობენ. ყოველ შაბათს მარია დედაქალაქიდან თავის ამშობლო მხარეში ჩადის მშობლებისა და უმცროსი ძმების მოსანახულებლად. ერთხელ, მისი იქ ყოფნის დროს, ქალაქს ბანდიტები დაესხნენ თავს. ირგვლივ ტყვიები ზუზუნებდა, ნაღმები სკდებოდა. მარია უკან მისდევდა თავის მამას, რომელიც თან მირბოდა და თან ავტომატს ტენიდა. უცებ მამა ძირს დასცა კონტრრევოლუციონერთა ტყვიამ. ცხრამეტი წლის გოგონამ მოკლული მამის ავტომატი აიღო და მანამდე იბრძოლა, სანამ ბანდას უკან არ მოაკურცხლინა.

რამდენიმე დღის შემდეგ ფოტორეპორტიორებისგან გაოგნებულ მარია როდრიგესს ნიკარაგუის თავდაცვის მინისტრმა საბრძოლო მედალი („მოვალეობის შესრულებისათვის“) გადასცა.

ათასობით ნიკარაგუელმა ქალმა ხელში აიღო იარაღი, რათა თავიანთი მამებისა და ძმების მხარდამხარ იბრძოლონ და დაიცვან რევოლუციის მონაპოვრები. ნიკარაგუაში სახალხო მილიციის რამდენიმე ქალთა ბატალიონი შეიქმნა. ამას წინათ სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებულ კანონში („სამხედრო-პატრიოტული სამსახურის შესახებ“) ნიკარაგუელ ქალთა ასოციაციის ინიციატივით, შეიტანეს დებულება, რომელიც შეიარაღებულ ქალთა რიგებში ქალების ნებაყოფლობით შესვლას ითვალისწინებს. ასოციაციის აქტივისტებმა მილიონი კორდობი შეაგროვეს ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის...

სექტემბრის ბოლოს ნიკარაგუელმა ქალებმა მანაგუაში შუშხუნებით ჩაიარეს. მათ თან მიჰქონდათ ლოზუნგი: „დაე მარად მშვიდობა და სიცოცხლე სუფევდეს დედამიწაზე!“ ამ გრანდიოზული მანიფესტაციის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი გადაწყვეტილება — რევოლუციური მონაპოვრები დაიცვან ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი დაქირავებული დამქაშების ხელყოფისაგან, ნიკარაგუაში სოციალური სამართლიანობა დაამყარონ.

შრომაშიც და ბრძოლაშიც გადავლახოთ სიძნელეები. განვამტკიცოთ მიღწეული, დავიპყროთ ახალი მწვერვალები! — ასეთია ყველა ნიკარაგუელი ქალის, მძიმე ბრძოლების მონაწილე ყველა პატრიოტის უწმინდესი მოვალეობა, — განაცხადა ნიკარაგუელ ქალთა ასოციაციის აღმასკომის მდივანმა გლენდა მონტერეიმ, — მხოლოდ ამ დიადი პრინციპების ერთგულებით ვიქნებით ღირსნი ნიკარაგუის ბედნიერებისათვის თავგანწირული ჩვენი დების ხსოვნისა.

**სერგეი გორბუნოვი,**
საკდესის კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გამოსათხოვარი

იმ დღეს დადუმებული იდგა ყველა ლინოტიპი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში...

იანვრის სევდიან დღეს სტამბის მუშაკები დიდი გულისტკივილითა და დანანებით ეთხოვებოდნენ კვალიფიციურ ლინოტიპისტს, საყვარელ ადამიანს ლეილა ღურჭუმელია-ხუბაშვილს.

მოუშუშებელ ტკივილებს გულში ვერ იტევდნენ ხანდაზმულნი, ამაგდარნი, ახალგაზრდები, ის ადამიანები, ვის გვერდითაც გაიარა ამ მშვენიერი მუშაკის მთელმა სამოღვაწეო პერიოდმა, ყველას გული სინანულით იყო აღსავსე, ყველას ცრემლი ეკიდა თვალზე...

— ჩემს თვალწინ დაქალდა, სულმთლად ბავშვი მოვიდა, აქვე დაოჯახდა, აქვე ეზიარა დედობას. არ შეიძლებოდა არ გყვარებოდა დიდბუნებოვნებისა და დიდი შრომისმოყვარეობის გამო. მერე როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას! — გვითხრა ღვაწლმოსილმა პოლიგრაფისტმა სერგო მამალაძემ.

ზღვა ცრემლები, ზღვა ყვავილები გააყოლეს გაწეული ამაგისა და სიყვარულის ნიშნად, ნაადრევად წასულს მეგობრებმა, ახლობლებმა, თანამშრომლებმა, კოლეგებმა... იმ დღეს ყველა ლინოტიპი გარინდულიყო...

ლეილამ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ჟურნალ „საქართველოს ქალს". წლების მანძილზე დიდი მონდომებით, რუდუნებით დასტრიალებდა თავს რედაქციის თითოეულ მასალას, მაღალკვალიფიციურად, უშეცდომოდ აწყობდა და ასწორებდა. დაუზარელი იყო, მადლიანი ღიმილი ამკობდა მის ნათელ სახეს.

დაუფასდა ამაგი — ჩვენი ჟურნალის მე-60 წლისთავზე მას კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა. მაგრამ, ვაგლახ, უკურნებელმა სენმა ისე სწრაფად დარია ხელი, რომ ამ წოდებით ვერ იამაყა, ვერ გაიხარა.

თითქოს გლოვობს დადუმებული ლინოტიპი. რომელსაც 30 წელზე მეტხანს ამშვენებდა ლეილა ღურჭუმელია.

ადრიანად წავიდა ჩვენგან დიდებული ლინოტიპისტი, სამაგალითო ადამიანი და ყველას გვატკინა გული, მისმა უდროო სიკვდილმა.




# დედისერთა

დედამ ობლობაში გამზარდა. არ დაუკლია ჩემთვის განათლება. ჩამინერგეს შრომის სიყვარული. სტუდენტი რომ გავხდი, თანასოფლელმა მოწინავე ოჯახმა ჩემი სიძეობა მოისურვა. მე მათ ქალიშვილს ახლო არ ვიცნობდი, მაგრამ დედის დაჟინებული რჩევით დავქორწინდი.

ჩემი მეუღლე გარეგნობით მომხიბლავია. იგი თავს მოგაჩვენებთ დიდ მეოჯახე ქალად, მაგრამ სახლში, — ნუღარ იკითხავთ, — ნერვული, ზარმაცი და ჯიუტია! ძლივს დაამთავრა ინსტიტუტი. ჩემ მუშაობასაც ვერ იტანს. ამას ჩვენს შორის ყოველთვის დავა მოსდევს.

ბინა მივიღეთ, კარგადაც მოვეწყეთ. დღედაღამ ვწუხვარ, რომ ცოლშვილს არაფერი მოაკლდეს. ჩემი მეუღლე კი მაინც მშობლებთან ცხოვრობს და არ სურს საკუთარ ჭერქვეშ ვიყოთ.

ქალიშვილი შეგვეძინა. ბევრ შვილზე ფიქრი მისთვის წარმოუდგენელია, ჰგონია, დააბერებს და დააჩანაკებს, თანაც ბავშვებმა „ნამდვილი" ბავშვობა ხომ უნდა იგრძნონ.

აზრთა სხვადასხვაობა აქაც შეეჯახა ერთმანეთს. როგორ ვთხოვდი შვილები გვყოლოდა. მეც დედისერთა ვარ, თვითონაც დედისერთაა. ნუთუ არ შეიძლებოდა გავმრავლებულიყავით! ისე გავმწარდი, ვიფიქრე სახლიდან წავსულიყავი, მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ მეუღლის მშობლები, დედაჩემი და ნათესავები. ვისაც რა უნდა ერჩია, არავის დავუჯერებდი, მაგრამ ბავშვის დიდმა სიყვარულმა ვერ გამაბედვინა ამ ნაბიჯის გადადგმა.

შევურიგდი ერთი შვილის მამობას და დავიწყეთ გოგონას აღზრდა. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: თუ მეუღლეს საყვედურს ვეტყვი, მშობლები მას ამართლებენ. შვილს შენიშვნას მივცემ, ბებია და ბაბუა ხმალამოღებულები იცავენ.

ჩვენმა ერთადერთმა ქალიშვილმა საშუალო სკოლა უზრუნველად დაამთავრა: აქეთ რეპეტიტორები, იქით დედისა და ბებიის დაქალ-მეგობრები ასწავლიან, უკითხავენ, ეფერებიან. ბავშვი ზარმაცი და ჯიუტი გაიზარდა.

შარშან ჩემმა ქალიშვილმა საშუალო სკოლა დაამთავრა. არ იკითხავთ, რა ამბავი იქნებოდა ჩვენს ოჯახში, გამოსაშვები კაბებისა და შესაფერისი ფეხსაცმლის შოვნა-ძებნაში? დამთავრდა ზარ-ზეიმი და დაიწყო პროზაული დღეები — უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისათვის მზადება...

პირველ აგვისტოს მეუღლის მთელი ნათესაობა და ნაცნობ-მეგობრები ინსტიტუტისაკენ დაიძრნენ. წინ ჩემი ქალიშვილი მიუძღოდათ, უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, მე ხომ წინასწარ ვიცოდი რა ნიშანს მიიღებდა. საღამოს ატირებულები და ნერვებმოშლილები დაბრუნდნენ. როგორც ვამბობდი, პირველივე გამოცდაზე ჩაიჭრა. ამაში თურმე მე ვარ დამნაშავე. მოუქნელი, ვერავინ გამოვიყენე, ვერავის მივაკითხე, საკუთარ შვილს ვმტრობ...

ახლა ბავშვი ყველა საგანში ემზადება, მაგრამ რა გამოვიდა, ხშირად აცდენს გაკვეთილებს. საათობით ტელეფონით ლაპარაკობს. დღედაღამ ამხანაგებთან ერთობა. თუ მივუთითებ ან დავარიგებ, მაშინვე სახლიდან გაპარვით გვაშინებს.

ვისი ბრალია, ჩემი ქალიშვილი ასეთი რომ გაიზარდა? რა თქმა უნდა, დედისა და ბებიისა, უფრო მეტად კი დედისერთობისა!

ახლა, როცა დიდი ყურადღება ექცევა მრავალშვილიანობას, ისეთი ქალებიც კი, რომლებსაც ვერ წარმოედგინათ ერთ შვილზე მეტი ჰყოლოდათ, სამ და ოთხ შვილს აჩენენ და, ვისაც სამი შვილი ჰყავს, ოთხ და ხუთ შვილზე ოცნებობს. არ ვიცი, ჩემი მეუღლე გულში რას ფიქრობს, მაგრამ ჩემს გამოსაჯავრებლად კი თითქოს ისევ იმ აზრისაა და ერთი წუთითაც არა სწყდება გული.

ახლა საკუთარ ოჯახს აღარ დავეძებ, ქალიშვილის დარდი მაქვს. სულ იმას ჩავჩიჩინებ, ბევრი შვილი იყოლიოს, რომ ნორმალური ცხოვრება ჰქონდეს. სადაც ბევრი შვილია, იქ ნამდვილი ცხოვრებაა, იქ შრომაა, იქ ბავშვები ერთმანეთის სიყვარულით იზრდებიან, ეგოისტები არ გამოდიან.

მე ვუერთდები იმ მამულიშვილებს, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს მრავალშვილიანობისათვის. სულით და გულით ვეგებები ამ დიდ მოძრაობას, ერის გამრავლების აუცილებლობას.

კ. მ.

ეროვნული

## რედაქციას შეასუხებენ

# წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

— 1984 წლის მაისში დავამთავრე თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი. ტექნიკუმმა საქართველოს სსრ გეოლოგიურ სამმართველოში ტექნიკოსად გამამწესა. გეოლოგიური სამმართველოს ადმინისტრაცია სამუშაოზე არ მიღებდა, რადგანაც თბილისში არა ვარ ჩაწერილი. მეუბნებოდნენ, თანამშრომლებისათვის საერთო საცხოვრებელი გვაქვს, მაგრამ შვილებიან ქალს ვერ ჩაგწერთ და ვერც ბინაში შეგასახლებთო. მე კი ორი მცირეწლოვანი ბავშვის მარტოხელა დედა ვარ, უფროსი ბიჭი ბრონქული ასთმით მყავს დაავადებული და თბილისიდან მისი გაყვანა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ხელმოკლედ ვცხოვრობ.

—ძვირფასო რედაქციავ! მოგმართავთ თქვენ, როგორც ყველა ქალის ქომაგს და გთხოვთ მეც დამეხმაროთ — გვწერდა ა. მარგოშვილი.

ამ წერილის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ამხ. კ. ჭელიძე გვატყობინებს, რომ სამინისტროს მიერ მიღებული ზომების შედეგად ასმათ მარგოშვილმა განაწილების ადგილზე დაიწყო მუშაობა, ხოლო მისი შვილები ბაგა-ბაღში მიიღეს.

* * *

— ჩემი ქალიშვილი გათხოვდა და ზესტაფონში გადავიდა საცხოვრებლად. ქმრის ოჯახში ცხოვრების ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი, მაგრამ, ნათქვამია, დედმამის ხელი ყველაზე თბილიაო და ფეხმძიმობის პერიოდში დროებით ჩემს ოჯახში დაბრუნდა.

მიაკითხა ჭიათურის ქალთა კონსულტაციას. კონსულტაციის გამგემ მარინე ფიფიამ და მედდამ ნელი კილაძემ კატეგორიულად გამოუცხადეს, რაკი ზესტაფონში ცხოვრობთ იქაურმა ქალთა კონსულტაციამ უნდა აგიყვანოთ აღრიცხვაზე და სამედიცინო დახმარებაც მათ უნდა აღმოგიჩინონო.

ამ წერილის თაობაზე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსი ე. ჯანელიძე გვატყობინებს:

— საბჭოთა მოქალაქეს, მით უმეტეს ორსულ ქალს, სადაც უნდა ცხოვრობდეს ის, უფლება აქვს სამედიცინო დახმარება მიიღოს საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქალაქსა და რაიონში.

ამდენად, ჭიათურის კონსულტაციის გამგისა და პატრონაჟის მედდის მოქმედება არც ჰუმანურია და, რაც მთავარია, უკანონოა.

კონსულტაციის გამგეს მ. ფიფიას და პატრონაჟის მედდას ნ. კილაძეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ საყვედური გამოუცხადა.

**ფერენც ესი**

**იუმორი**

ბელა კორშოშმა თითქმის უკვე მეათედ გაუარა თავის დაწესებულებას, მაგრამ მანქანის გაჩერება ვერსად მოახერხა, თავისუფალი ადგილი ვერ აღმოაჩინა, ისე იყო მიჯრილი ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა მარკისა და ფერის მანქანები, რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა. ბოლოს, ცოტა მოშორებით პატარა თავისუფალი ადგილი შენიშნა, მაგრამ როცა მიუახლოვდა, დაინახა, რომ ვიღაც ქალი პირდაპირ ქვაფენილზე გაწოლილიყო.

— დაკავებულია! — იყვირა ანგარიშმიუცემლად, როგორც კი მანქანა მიუახლოვდა, — ჩემს ქმარს სძინავს და მე აქ ადგილს ვუკავებ!

კორშოშმა სცადა მანქანა გაეჩერებინა და სთხოვა ამდგარიყო, მაგრამ ვერ შესძლო, მის უკან უამრავი მანქანა მოგროვდა და ყველა ერთად აძლევდა სიგნალს. მილიციელმაც ხმას აუწია:

— აბა, სწრაფად! გაიარეთ! მოძრაობას ნუ აფერხებთ!

უცებ მას გაახსენდა, რომ ქალაქის გარეუბანში ერთ-ერთ პატარა შესახვევში რამდენიმე კვადრატული მეტრი თავისუფალი ადგილი იყო და მაშინვე იქით გაეშურა. ამანაც ტყუილად ჩაუარა. ქუჩის ორივე მხარე მანქანებს ჩაეჭედა, დაღლილ-დაქანცული პატრონები კი პროდუქტებით სავსე ხელჩანთებით ძლივსღა მილასლასებდნენ ფეხით და ზოგს იმის იმედიც აღარ ჰქონდა, რომ საკუთარ მანქანამდე მიაღწევდა. ცეგლედამდე ერთი თავისუფალი ადგილიც ვერ ნახა და უკან დაბრუნდა. შიმშილისაგან თავბრუ ეხვეოდა. გზად კაფეს მოჰკრა თვალი, მაგრამ მთელ კილომეტრზე გაჭიმული მანქანების რიგი რომ დაინახა, იძულებული გახდა ისევ ქალაქის ცენტრისკენ წასულიყო. მის წინ და უკან ავტომანქანების განუწყვეტელი ნაკადი მიედინებოდა. მძღოლების სახეზე ამოიკითხა, რომ ისინიც მასავით უშედეგოდ ეძებდნენ გასაჩერებელ ადგილს.

ერთ-ერთ გადასასვლელზე წითელ შუქნიშანზე გაჩერებულმა გვერდით თავის კოლეგას მოჰკრა თვალი.

— უკვე მეხუთე დღეა გზაში ვარ, — ძლივსღა ამოილუღლუღა მან, — მზადა ვარ მანქანა შუა ქუჩაში დავაგდო, ვისაც უნდა წაიყვანოს! მაგრამ გასაჩერებელი ადგილი ვერ მიპოვია, რომ გადმოვხტე.

ამ დროს მწვანე შუქნიშანი აინთო და ისევ გზა განაგრძეს. კორშოშს საღამოს იმედი ჰქონდა, იქნებ სასწაული მოხდეს და სადმე ადგილი გათავისუფლდესო, მაგრამ ამაოდ. გამთენიისას ერთ-ერთ მანქანაში თავის ცოლს მოჰკრა თვალი.

— მოვკვდი შენი ძებნით! — უყვირა მან, — სუფთა თეთრეული მოგიტანე, მაგრამ როგორ გადმოგცე?..

კორშოშს ამ დროს ბედზე ბენზინი გაუთავდა და ის იყო გახარებული მანქანიდან გადმოხტომას აპირებდა, რომ მილიციის მანქანა მიუახლოვდა. უახლოეს ბენზინის ჩასასხმელთან მიიყვანეს და გააფრთხილეს, ასეთი უბრალო მიზეზით ფონს ვერ გახვალ და იცოდე, სხვა დროს ამისთვის მკაცრად დაგსჯითო.

რა უნდა ექნა? ისევ დაიწყო ქუჩებში უმიზნოდ ხეტიალი. მეორე დღეს გაახსენდა, რომ რომელიღაც მოედანზე აბრა გამოეკრათ. აბრაზე ეწერა: „ფასიანი სადგომი“. მაშინვე იქით გაეშურა, მაგრამ მეორე აბრა იუწყებოდა, ყველა ადგილი მომავალ წლამდე დაკავებულია და უახლოესი სადგომი ჰორტობადის ველზეაო.

საღამოხანს ისევ დაინახა ცოლი. დაღლილობისაგან ხელი ძლივს ასწია, მაგრამ ცოლმა ვერ იცნო. უნებლიედ ფეხი მუხრუჭს დააჭირა. მის უკან მომავალი მანქანები მსუბუქად შეეჯახნენ ერთმანეთს, რომ ხელოვნურად შეფერხების საშუალება შეექმნათ, ერთმა კარი გამოაღო და გადმოხტომა დააპირა, მაგრამ მილიციის მახვილ თვალს ეს არ გამოეპარა და მაშინვე უკან შეაგდეს.

ეს ადამიანები უკვე იცნობდნენ ერთმანეთს, ზოგიერთები მეშვიდე დღე იყო, რაც დადიოდნენ. ასე გაგრძელდა კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს. ბედშერიგებულმა კორშოშმა ასეთ ხეტიალში გაატარა მთელი სიცოცხლე. იგი ოთხმოცი წლისა გარდაიცვალა, ქუჩებში ორმოცი წლის განუწყვეტელი მიმოსვლის შემდეგ, და ბედნიერი იყო, რომ ელოდა სამუდამო მყუდრო სასუფეველი, სადაც ბოლოსდაბოლოს შესძლებდა პედალიდან ფეხის აღებას და დასვენებას.

უნგრულიდან თარგმნა

**ლილი მაისურაძე-მორგოშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აეროზიკა მოითხოვს საექიმო კონტროლს



ფიზიკური ვარჯიშის მრავალ სახეობათა შორის უკანასკნელ წლებში მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ქალაქებში ფართოდ გავრცელდა რიტმული ტანვარჯიში ანუ აერობიკა.

საექიმო დაკვირვებებიდან ირკვევა, რომ რიტმული ტანვარჯიში დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმის ცალკეულ ფიზიოლოგიურ სისტემაზე და საერთოდ მის ჯანმრთელობაზე, თუ, რასაკვირველია, იგი შესაბამისი დოზირებით იქნება ჩატარებული.

გარდა იმ სამედიცინო შემოწმებისა (საექიმო კონტროლისა), რომელიც სავალდებულო წესით უნდა გაიაროს რიტმული ტანვარჯიშით მეცადინეობის დაწყების წინ ყველა პირმა, აუცილებელია, თვით მეცადინეობის პროცესში თითოეულმა მათგანმა თვეში ერთხელ საკუთარ თავზე მოახდინოს სამედიცინო დაკვირვება, რაც თვითკონტროლის სახელწოდებით არის ცნობილი.

თვითკონტროლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ და ობიექტურ მონაცემებს. სუბიექტურს მიეკუთვნება — ძილი, მადა, გუნება-განწყობა, საერთო შრომისუნარიანობა და სხვა. ობიექტური მონაცემებიდან წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება პულსის სიხშირეს, რომელიც მოზრდილ ადამიანს წუთში 70-80-აქვს. (ქალებს მამაკაცებთან შედარებით პულსის სიხშირე შეიძლება წუთში 5-10 დარტყმით მეტი ჰქონდეთ). ვარჯიშის შედეგად, (უკვე მშვიდ მდგომარეობაში) პულსის სიხშირე გარკვეულად მცირდება. პულსი ასახავს გულის მუშაობის მდგომარეობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიცოდეთ რიტმული ტანვარჯიშის დროს პულსი როგორი სიხშირისა უნდა იყოს. ამ მიზნით ვიყენებთ ფორმულას: 180-ს გამოვაკლოთ ასაკი. თუ თქვენი ასაკი უდრის 40 წელს, მაშინ 180—40=140, ე. ი. თქვენ შეგიძლიათ სათანადო გავარჯიშების შემდეგ წუთში 140 პულსის სიხშირით იმეცადინოთ. ფიზიკური ვარჯიშის პირველ ფაზაში კი სასურველია, პულსის სიხშირე 110-120 დარტყმამდე გაიზარდოს.

საყურადღებო და აუცილებელია არტერიული სისხლის წნევაზე დაკვირვება. ჩვეულებრივ სრულასაკოვანი ადამიანის არტერიული სისხლის წნევა უდრის ვერცხლის წყლის სვეტის 100/60-დან 140/90-მდე.

ფიზიკური ვარჯიში სისხლის არტერიული წნევის მოწესრიგების საუკეთესო საშუალებაა, ამიტომ იგი ჰიპერტონიის პროფილაქტიკის ძირითად ღონისძიებადაც ითვლება. რიტმული ტანვარჯიშით მეცად-

# პალმები ოთახში

თუმცა პალმა საკმაოდ ძნელი მოსავლელია, მაინც ოჯახში ხშირად თაობიდან თაობაზე გადადის.



ცნობილია პალმის 1200-მდე სახეობა. ტროპიკულ ქვეყნებში ზოგიერთი პალმის ფოთლის სიგრძე 15 მეტრს, ხოლო სიგანე 2 მეტრს აღწევს, თვით პალმა კი 50 მეტრამდე იზრდება. პალმა საუკეთესო მცენარეა ეზოს ყვავილნარების დასამშვენებლად და ოთახისა და აივნის გასამწვანებლად. პალმები, რომლებიც გარეთ ვერ ზამთრობენ, უნდა შეიტანოთ ნათელ შენობაში, სადაც ტემპერატურა 5-15 გრადუსზე ნაკლები არ არის. თუ ოთახში საკმაო განათება იქნება, ზოგიერთი პალმა დაბალ ტემპერატურასაც კი ეგუება.

შეძენისას პალმა უნდა იყოს ჯანსაღი, ფოთლებზე არ უნდა ჰქონდეს არავითარი ლაქა და ფარიანა; კარგად განვითარებული ფესვები, ქოთნიდან ამოღების დროს, გუნდა მიწით კარგად უნდა იყოს შებოჭილი.

პალმის შეძენა უმჯობესია გაზაფხულზე, ოთახის პირობებს ზრდის დაწყებისას შეეჩვევა და კარგად გამოიზამთრებს.

ოთახის პირობებში პალმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სინათლეს. ამიტომ მისი ჩრდილოეთ ფანჯარასთან მოთავსება მიზანშეწონილი არ არის. ზაფხულში კი საჭიროა მზის პირდაპირი სხივებისაგან დაფარვა (ფანჯარაზე ფარდა ჩამოაფარეთ); მცენარე ცალგვერდად რომ არ განვითარდეს, დროდადრო, სინათლისაკენ უნდა შეაბრუნოთ და წყალი ხშირად შეაპკუროთ.

ჩინური და ხმელთაშუა ზღვის მარაოსებრი პალმა და ყველა „ბუტია" გრილ ოთახს კარგად იტანს; „რობელის ფინიკი", „სამხრეთის ლივისტონი", „ჩინური ლივისტონი" და სხვები კი თავს, შედარებით, თბილ ოთახში უკეთ გრძნობენ.

ოთახი ხშირად უნდა განიავდეს, ზამთარში სარკმელი 15 წუთით მაინც გააღეთ, ოღონდ, ;გახსოვდეთ, ორპირ ქარს პალმა ვერ იტანს.

პალმებისათვის ნიადაგი ჯიშების

ინეობა ხშირად იწვევს (მოსვენებულ მდგომარეობაში) არტერიული სისხლის წნევის (ფიზიოლოგიურ ფარგლებში) დაქვეითებას, მაგალითად, ნაცვლად 130/80 იგი ხდება 120/70 მმ, რაც დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

კიდევ უფრო მეტი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს იმ მარტივ ფუნქციურ სინჯს, რომლის ჩატარება უექიმოდ ყველას შეუძლია. ამისათვის, ვიდრე ვარჯიშს შეუდგებოდეთ, სკამზე 5 წუთს მშვიდად დაბრძანდით, 10 წამის განმავლობაში დაითვალეთ პულსი. შემდეგ 30 წამის განმავლობაში შეასრულეთ დოზირებული მოძრაობა: 20-ჯერ ჩაბუქნეთ. ჩაბუქვნის დროს ხელები წინ გასწიეთ, ადგომისას კი, გულმკერდთან მიიტანეთ, კვლავ სკამზე დაბრძანდით და 10 წუთს პულსი დათვალეთ. თუ გულის ფუნქციური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაშინ საწყის მდგომარეობასთან შედარებით, პულსი ხშირდება 30-50 პროცენტით, ხოლო დასვენების მესამე წუთის ბოლოს კი დაუბრუნდება თავის საწყის მდგომარეობას.

თვითკონტროლის მიზნით შესაძლებელია გამოვიყენოთ აგრეთვე ფუნქციური სინჯი სუნთქვის შეკავებაზე. ამ მიზნით ორჯერ ღრმად შეისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. მესამე, საშუალო სიღრმის შესუნთქვის შემდეგ სუნთქვა შეიკავეთ, შეკავების მომენტში პირი მაგრად მოკუმეთ და ნესტოებზე თითები მიიჭირეთ.

ჯანმრთელმა ადამიანმა სუნთქვის შეკავება — 40-60 წამით უნდა შესძლოს. ვინც ვერ ახერხებს სუნთქვის შეკავებას 15 წამზე მეტ ხანს, მან მხოლოდ ექიმის რჩევით უნდა დაიწყოს რიტმული ტანვარჯიში, გავარჯიშების შედეგად იზრდება სუნთქვის შეკავების ხანგრძლივობის დრო.

სპირომეტრის (პორტატული ხელსაწყო) საშუალებით ხდება „სასიცოცხლო ტევადობის“ განსაზღვრა, რაც სუნთქვის აპარატის ფუნქციურ მდგომარეობას ასახავს. ჯანმრთელ მოზრდილ ქალებს ფილტვების „სასიცოცხლო ტევადობა“ ჩვეულებრივ 2000-3000 მლ-ი აქვთ, მამაკაცებს კი — ყოველთვის 500-1000 მლ-ით მეტი. ხანგრძლივი რიტმული ტანვარჯიშის შედეგად გარეგანი სუნთქვის ეს მაჩვენებელი, კანონზომიერად, 300-500-ით და უფრო მეტი მლ-ით იზრდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს სხეულის წონაზე (მასზე) დაკვირვებას. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ სპეციალური ცხრილი, რომელშიც აღნიშნულია ამა თუ იმ ასაკის, სქესისა და სიმაღლის ადამიანის სხეულის წონის ნორმები. უფრო მარტივად ნორმალური წონის შემოწმება ხდება ასე: საკუთარი სხეულის სიმაღლის რიცხვს უნდა გამოვაკლოთ რიცხვი „100“. თუ თქვენი სიმაღლე უდრის 165 სმ-ს, ე. ი. 165-ს უნდა გამოვაკლოთ 100. მივიღებს 65-ს. მიღებული რიცხვი „65“ უნდა ჩაითვალოს თქვენ ნორმალურ წონად. ვარჯიშის პროცესში სხეულის წონა იკლებს, ბოლოს კი სტაბილური ხდება.

გვახსოვდეს, აერობიკით მეცადინეობა თვითკონტროლს მოითხოვს.

**როմანოზ სვანიშვილი**

მიხედვით შეარჩიეთ. საერთოდ კარგია 3 წილი ყამირი მიწის, 1 წილი ნეშომპალას, 1 წილი ტორფისა და ნახევარი წილი სილის ნარევი.

პალმების უმრავლესობას მთელი წლის განმავლობაში ახასიათებთ შესვენებისა და ზრდის პერიოდი. ამიტომ ისინი სხვადასხვა გვარად უნდა მოვრწყათ; ზამთარში ნაკლები წყალი სჭირდებათ, ვიდრე ზაფხულში, ყოველი რწყვის შემდეგ, მეორე მესამე დღეს საჭიროა მიწის ზედაპირის წვეტიანი ჯოხით გაფხვიერება. კარგია წვიმის, თოვლის ან ონკანიდან წინა დღით აღებული წყალი.

ახალგაზრდა პალმები უნდა გადაირგას 1-2 წელიწადში, ხოლო მოზრდილები — 3-5 წელიწადში ერთხელ, ყოველი გადარგვისას საჭიროა ფესვებს შეეცალოს უვარგისი გუნდა მიწა და 2-4 სანტიმეტრით უფრო განიერ ჭურჭელში მოთავსდეს. გადარგვა უმჯობესია მარტსა და მაისში. დაზიანებული ფესვები უნდა შეეჭრას (თუმცა ზოგიერთი პალმა ფესვის შეკვეცას ვერ იტანს). კარგია 10-20 დღეში ერთხელ პალმის წუნწუხით მორწყვა და, როცა შესაძლებელია, წვიმის, ხოლო ზამთარში თბილი წყლით მორწყვა. მორწყეთ ზამთარში, კვირაში 1-2-ჯერ, ხოლო ზაფხულში კი — დღეგამოშვებით. სასურველია, კვირაში ერთხელ ფოთლებზე წყლის შესხურება.

მიზანშეწონილია ახალგაზრდა პალმების წვიმიან ამინდში ოთახიდან გარეთ გატანა.

ოთახში ჰაერის სიმშრალის გამო ხშირად ფოთლებს წვერები უხმება — რაც მაკრატლით უნდა შეეჭრას.

ფოთლებზე ფარიანები და სხვა მავნებლები უნდა ჩამოირეცხოს საპნისა და თამბაქოს ნაყენი წყლით.

ახლა ჩვენში ყველგან იყიდება ფინიკის პალმის ნაყოფი — ჩირი, რომელიც შემოაქვთ ტროპიკული ქვეყნებიდან. ფინიკს შუაში აქვს მოგრძო მოზრდილი კურკა, რომელიც შეგიძლიათ დათესოთ. იგი ორ თვეში აღმოცენდება.

**ირაკლი ხმალაძე,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

# ქულინარია

## შემწვარი ღვიძლი ბროწეულით

500 გრ საქონლის ან ღორის ღვიძლი კარგად გარეცხეთ, დაჭერით საშუალო სისქის ნაჭრებად, დააყარეთ მარილი და კარაქში ან ერბოში შეწვით.

3-4 ცალი ბროწეული გაწურეთ (1 ჩაის ჭიქა წვენი უნდა დადგეს), დაუმატეთ 3-4 ძირი ჩანაყილი ქინძი, მარილი და წიწაკა გემოვნებით.

როცა ღვიძლი კარგად შეიწვება, ლანგარზე დაალაგეთ. შეწვის დროს მიღებული ცხიმი ბროწეულის წვენში აურიეთ და ლანგარზე დალაგებულ, შემწვარ ღვიძლს დაასხით. ცოტახანს გააჩერეთ, კარგად რომ გაუჯდება, მერე მიიტანეთ სუფრაზე.



## ჭარხლის სალათი

500 გრ ჭარხალი გარეცხეთ და გაუთლელი მოხარშეთ. როცა კარგად მოიხარშება, კანი გააცალეთ, ასე უფრო პრიალაა.

გაციებული და კანგაცლილი ჭარხალი ალყა-ალყა, პატარა ნაჭრებად დაჭერით.

ნახევარი ჩაის ჭიქა ტყემლის საწებელა პატარა მომინანქრებულ („ემალის“) ქვაბში ან ჯამში ჩაასხით, დაუმატეთ 4-5 ძირი წვრილად დაჭრილი ქინძი, 4-5 კბილი დანაყილი ნიორი, 2 სუფრის კოვზი ვაშლის ან ღვინის ძმარი, 2 სუფრის კოვზი მზესუმზირის ზეთი. ეს მასა კარგად აურიეთ ერთმანეთში და შიგ ჩაალაგეთ დაჭრილი ჭარხალი. შემდეგ კოვზით კარგად აურიეთ და თავზე დაახურეთ.

სალათი მაცივარში ერთ კვირას ინახება.

## თაფლის ნამცხვარი „მედოკი“

3 კვერცხისა და 1 ჩაის ჭიქა შაქრისაგან გოგლიმოგლი გააკეთეთ. მიუმატეთ 3 სუფრის კოვზი თაფლი, 150 გრ შემდნარი კარაქი, 2 ჩაის კოვზი სოდა ძმარში გახსნილი. ეს მასა ერთმანეთში გაქენით და პატარა ქვაბში გადაიტანეთ. პატარა ქვა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, მეორე დიდ ქვაბში ან ტაშტში ჩადგით, რომელშიც წყალი ასხია და დუღს.

პატარა ქვაბი მდუღარეში გააჩერეთ იმდენხანს, ვიდრე თეთრ ქაფს არ მოიკიდებს, მერე გადმოდგით და დააყარეთ 3 ჩაის ჰიქა ფქვილი, კარგად შეაზავეთ და დადგით გასაციებლად. ამის შემდეგ, ცომი 1 საათს ისვენებს.

შემდეგ ცომი 4 ნაწილად გავყოთ. თითოეული ცალ-ცალკე გამოაცხვეთ. გაზქურა ცხელია, ტაფა ცივი, ფქვილმოყრილი. ცხვება 3-5 წუთს. ფირფიტები თეთრი უნდა იყოს.

კრემი — 200 გრ კარაქი მიქსერით ათქვიფეთ გათეთრებამდე, შემდეგ შეათქვიფეთ 1 ქილა შესქელებული რძე („სგუშჩონი"), ცოტა ვანილი და კიდევ კარგად გათქვიფეთ. შედგით მაცივარში, როცა კარგად გაიყინება, მაშინ წაუსვით ფირფიტებს. მეოთხე ფირფიტა — გასათხელებელით დაფშვენით და ზევიდან მოაყარეთ გამზადებულ ნამცხვარს.

კრემი არაჟნითაც შეიძლება მოამზადოთ. 200 გრ კარაქი მიქსერით ათქვიფეთ, დაუმატეთ 1/2 ჩაის ჰიქა შაქარი და 2 ქილა არაჟანი, დააყარეთ ვანილი და კარგად თქვიფეთ გათეთრებამდე. შემდეგ შედეთ მაცივარში და როცა მზად იქნება, ფირფიტებს წაუსვით.

### ცილის ნამცხვარი

4 კვერცხის ცილისა და 1 ჩაის ჰიქა შაქრისაგან გოგლიმოგლი გააკეთეთ. როცა გოგლიმოგლი კარგად გათეთრდება, ის ჭურჭელი, რომელშიც გოგლიმოგლია, ჩადეთ მდუღარე წყლიან ქვაბში ან ტაშტში და ადუღეთ 15 წუთი. როცა გადმოდგამთ, აურიეთ 1 ჩაის ჰიქა დაჭრილი ნიგოზი. მერე სუფრის კოვზით თითოთითოდ დაალაგეთ გაზქურის ფირფიტაზე და მიღებული მასა გამოაცხვეთ. ნამცხვარი ლამაზი და გემრიელია.

მ. მარინაშვილი



## ალექსანდრე დეინეკა

### „პეტროგრადის დაცვა" (ფრაგმენტი)

„ხელოვნებას გასაოცარი თვისება აქვს — აღადგინოს გუშინდელი, წარმოგვისახოს დღე ხვალინდელი... მაგრამ ესეც არის: წარსულის გადახსნისას და მომავლისაკენ ქროლვისასაც ხელოვნება მხოლოდ საკუთარ დროს ეკუთვნის". ასე ამბობდა საბჭოთა მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენელი, მხატვრობაში სოციალისტური რეალიზმის ერთერთი პირველი ფუძემდებელთაგანი ალექსანდრე დეინეკა. ფერწერა თუ მოზაიკური პანოები, სამეცნიერო თუ პედაგოგიური მოღვაწეობა, — ყოველი მათგანით ვლინდებოდა დეინეკას დაუშრეტელი სიცოცხლისმოყვარეობა, ნიჭი, ენერგია. იგი ჭეშმარიტი შვილია მაღალი, ჰუმანისტური იდეალებით აღსავსე რევოლუციური ეპოქისა.

დეინეკა (1899-1969), ვითარც მოქალაქე და ვითარც მხატვარი, მუდამ გამარჯვებული, პროლეტარული რევოლუციის სამსახურში იდგა. ახალი, მშენებელი ადამიანი, მისი ცხოვრების პოეტური სახე, მისი ღრმა ფსიქოლოგიური დახასიათება, მზე, სპორტი, ოცნება, ჰაერის ღრმა სივრცე, პოეზიით აღსავსე პეიზაჟები, — აი, დეინეკას შემოქმედებითი ინტერესების სფერო. მხატვარი გატაცებით მუშაობდა პლაკატზე, ილუსტრაციაზე და ყველგან, ყველაფერში, მისი მუზა ამაღლებდა და ეხმარებოდა ადამიანს; უმღეროდა სამშობლოს სიჭაბუკესა და სიმამაცეს. სამშობლომ დააფასა მისი ელვარე ტალანტი: საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ალექსანდრე დეინეკა, დაბადების 70-ე წლისთავის გამო სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდებით დაჯილდოვდა. გთავაზობთ მისი სურათის — „პეტროგრადის დაცვის" ფრაგმენტს (1927 წ.).

გარეკანის პირველ გვერდზე — დიმიტრი მაღრაძის პლაკატი „მშვიდობა მსოფლიოს"; მეოთხეზე — ა. დეინეკა. „პეტროგრადის დაცვის" ფრაგმენტი.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4. 01. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 11. 85 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8. ტირაჟი 140 000. შეკვ. 22. უე 06423

1984 წლის სოციალისტური ქვეყნების კოსმეტოლოგთა და პარიკმახერთა საერთაშორისო კონკურსის სამი ოქროს მედლის მფლობელი ვაჟა მხითარიანი

გთავაზობთ ვაჟა მხითარიანის ვარცხნილობის რამდენიმე ნიმუშს













ე. იაკობაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
687/37



ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76178